ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 17 ნოემბერი, 2016 №273 (7198) ფასი: 50 თეთრი

„ნარმანია მილიონერების სწავლას აფინანსებს“

გვ.3

15 ნოემბრიდან

ჯონ ტენერი

ოცდაათი წელი ინდიელთა შორის

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

ლევან იზორიას მიერ დანიშნულ პირებზე მოკვლევა დაიწყო

სერგო ნინუამ და გიორგი ცაბაძემ თანამდებობები დატოვეს



გვ.2

„იზორიას ზღაპრები“

გვ.2

ხიდაშელი თავდაცვის მინისტრს აკრიტიკებს

რადის დეპუტატი რაბინოვიჩი უკრაინის პროკურატურას მიმართავს

გვ.3

სააკაშვილს შესაძლოა უკრაინის მოქალაქეობა ჩამოართვან

ვიქტორ დოლიძე სახელმწიფო მინისტრის პოსტს დაიკავებს

გვ.5

მარგველაშვილმა „ოცნების“ დეპუტატებს სიურპრიზი მოუწყო

რამაზ საყვარელიძე: „ნაცმოძრაობა ნამგებიანი ალტერნატივის წინაშეა“

გვ.4

კონსტანტინე გამსახურდია: „ოპოზიცია ძლიერი იყო 2007 წლის 2 ნოემბერს“

გვ.5

„ნარკოტიკებით ვაჭრობას მფარველები ხელისუფლებაშიც ეყოლება“

გვ.7

ISSN 1987-9385

გირჩი მარიხუანას პირდაპირ ეთერში დარგავს

ახალი პოლიტიკური ცენტრი

პროტესტი ხელისუფლების ნარკოპოლიტიკის მიმართ

გვ.7

სუს-ის ანტიკორუფციულმა საგენტომ ქრთამის აღების ფაქტზე ერთი პირი დააკავა

გვ.2

ლევან იზორიას მიერ დანიშნულ პირებზე მოკვლევა დაიწყო

სერგო ნინუამ და გიორგი ცაბაძემ თანამდებობები დატოვეს

თავდაცვის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის მაღალ თანამდებობებზე დანიშნულ სერგო ნინუასა და გიორგი ცაბაძის მიმართ გაჟღერებულ ბრალდებებთან დაკავშირებით მოკვლევა დაიწყო. ამის შესახებ ინტერპრესნიუსს თავდაცვის სამინისტროში განუცხადეს.

– გაჟღერებულ ბრალდებებზე გენერალურმა ინსპექციამ დაიწყო მოკვლევა. შედეგების გაცხადების შემდეგ გახდება ცნობილი, თუ რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული, – აცხადებენ სამინისტროში.

არსებული ინფორმაციით, თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლის მოვალეობის შემსრულებლად სერგო ნინუა, ხოლო ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის შტაბის უფროსად გიორგი ცაბაძე კანონდარღვევით დანიშნა, ვინაიდან აღნიშნული პირები შესაბამის კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებდნენ.

„მოამბის“ ინფორმაციით, მათ ის დოკუმენტიც მოიპოვეს, რომელშიც შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის პირველი მოადგილე, ბრიგადის გენერალი ვლადიმერ ჩაჩიბაია მინისტრ იზორიას სთხოვს, დანიშნოს ზემოაღნიშნული სამხედრო მოსამსახურეები, მიუხედავად იმისა, რომ როგორც თვითონვე მიუთითებს, ნინუა და ცაბაძე კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებენ.

– გთხოვ, გადაწყვეტილებას ვიცე-პოლკოვნიკ ნინუასა და ვიცე-პოლკოვნიკ ცაბაძის წარმოდგენილ თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ, გამონაკლისის სახით, შერჩევის უმაღლეს საბჭოზე განხილვის გარეშე... დამატებით მოგახსენებთ, რომ ზემოაღნიშნული სამხედრო მოსამსახურეები ვერ აკმაყოფილებენ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 17 თებერვლის ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საშტატო ნუსხებით განსაზღვრულ ოფიცერთა თანამდებობის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, – ნათქვამია ჩაჩიბაიას მიერ იზორიასთვის გაგზავნილ წერილში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების ავიაციის პოლკოვნიკის თანამდებობის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია: მინიმალური ნამსახურები წლები ოფიცრის თანამდებობაზე და უცხო ენის ცოდნა.

გარდა ამისა, კონსტიტუციით, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს და სხვა მხედართმთავრებს მთავრობასთან შეთანხმებით საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს, თუმცა ამ შემთხვევაში ნინუასა და ცაბაძის თანამდებობაზე დანიშვნის ბრძანება თავდაცვის მინისტრის მიერაა გამოცემული.

ამასთან დაკავშირებით თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ნუკრი გელაშვილმა გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ მინისტრს აქვს უფლებამოსილება, საგამონაკლისო წესით თანამდებობაზე დანიშნოს პიროვნება.

რაც შეეხება უშუალოდ ნინუასა და ცაბაძის დანიშვნის მოტივს, გელაშვილის თქმით, მინისტრმა აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღო იქიდან გამომდინარე, რომ ნინუასა და ცაბაძის ხედვა ემთხვევა გენშტაბის ხედვებს.

◆ ◆ ◆

აღსანიშნავია, რომ ნინუასა და ცაბაძეს პოლიტიკურ ზეწოლაშიც ადანაშაულებენ. როგორც შეიარაღებული ძალების თადარიგის ოფიცერი, რამდენიმე თვის წინ გათავისუფლებული დავით ნემსაძე ამტკიცებს, სერგო ნინუა და გიორგი ცაბაძე არიან ნაციონალური მოძრაობის კადრები, რომლებიც გამოირჩეოდნენ შეურაცხმყოფელი მოქმედებებით პირადი შემადგენლობის მიმართ.

– სერგო ნინუა და გიორგი ცაბაძე არიან ნაციონალური მოძრაობის კადრები, რომლებიც 2012 წლის არჩევნების დროს პირად შემადგენლობას დედას აგინებდნენ, მწყობრში მუნდირიდან ახევდნენ სამხედრო ნიშნებს. მათი მხრიდან იყო მოწოდებები, რომ თუ ნაციონალურ მოძრაობას არ მისცემდნენ ხმას, მათი ცხოვრება დამთავრდებოდა ძალიან ცუდად.

აღნიშნული დაწინაურება არანაირ საკადრო ფორმას არ ემორჩილება. მათ არ აქვთ შესაბამისი განათლება, წარსული და გამოირჩევიან აგრესიული პოლიტიკური ქმედებებით, რაც აკრძალული იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების ნებისმიერი რანგის სამხედრო პირისთვის, – აცხადებს დავით ნემსაძე მიმართვაში, რომელიც საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გაავრცელა.

◆ ◆ ◆

ატეხილი სკანდალის შემდეგ ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის მაღალჩინოსნებმა სერგო ნინუამ და გიორგი ცაბაძემ თანამდებობები დატოვეს. ამის შესახებ მათ საგანგებო განცხადება გააკეთეს.

– ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის წინააღმდეგ ბოლო პერიოდში დაწყებული მიზანმიმართული კამპანიისა და ჩვენ წინააღმდეგ მედიაში გაჟღერებული ბრალდებების გამო, ჩვენ დროებით ვტოვებთ დაკავებულ თანამდებობებს და მოვითხოვთ, დაკითხოს ყველა ის პირი, ვინც ჩვენ წინააღმდეგ ბრალდებებს აჟღერებს. ეს ნათელს მოჰფენს ყველა იმ საკითხს, რაც ჩვენ წინააღმდეგ არის გაჟღერებული. თუ დადგინდება, რომ ეს იყო მიზანმიმართული კამპანია ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობაში დაგეგმილი რეფორმების წინააღმდეგ, ჩვენ მოვითხოვთ თანამდებობებზე დაბრუნებას, რათა გავაგრძელოთ ის რეფორმები, რომელიც დაგეგმილია. თუ დადგინდება, რომ ეს არის ჩვენ მიერ ჩადენილი გადაცდომა, მაშინ მზად ვართ, პასუხი ვაგოთ კომისიის წინაშე, – განაცხადა სერგო ნინუამ.

„იზორიას ზღაპრები“

ხიდაშელი თავდაცვის მინისტრს აკრიტიკებს

ლევან იზორიას განცხადებას, რომელიც ავიაციის რეფორმირებას უკავშირდება, მისი წინამორბედი „ზღაპარს“ უწოდებს.

თინა ხიდაშელი აცხადებს, რომ თავდაცვის სამინისტროს მოქმედი ბიუჯეტით ავიაციის სფეროს რეფორმირება შეუძლებელია. მეტიც, თინა ხიდაშელი ამბობს, რომ ამ მიმართულების რეფორმირებისთვის აუცილებელია, რომ თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 2-ჯერ ან 3-ჯერ მაინც გაიზარდოს.

– მთავარი პრობლემა ისაა, რომ რეფორმა არ ნიშნავს გვარებს და სახელებს, რეფორმა ნიშნავს ხედვას. საქართველოში პრობლემა იმდენად დიდია, რომ ამაზე სერიოზულად სალაპარაკოდ 2-ჯერ და 3-ჯერ უნდა გაიზარდოს ბიუჯეტი. ბატონი იზორია მოგონილი ამბებით ცდილობს მიყიდოს საზოგადოებას ზღაპრები, რომ თითქოს რამეს აკეთებს. სანამ არ გაიზრდება თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი, მანამდე რაიმე რეფორმაზე ავიაციაში შეუძლებელია საუბარი, – აცხადებს თინა ხიდაშელი.

ხიდაშელი ამბობს, რომ ლევან იზორია მიზანმიმართულად ათავისუფლებს თავდაცვის სამინისტროდან კადრებს, რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ დასავლეთში.

„კანონი მინისტრს აძლევს დისკრეციის საშუალებას, მაგრამ არსებობს კრიტერიუმები, შერჩევის წესები. ადამიანები მათი კვალიფიკაციის და სამართლიან გარემოში ინიშნებიან და წინაურდებიან ამა თუ იმ თანამდებობაზე. ეს არის ზუსტად ის ამბავი, როცა რაღაც კონკრეტული მიზეზებით ინიშნებიან ადამიანები და არა – კვალიფიკაციითა და გამოცდილებით.

მე მოვისმინე აზრი, რომ საერთოდ ავიაციის სარდალი პრეზიდენტის მიერ ინიშნებოდეს, ესეც სადავო თემაა. რაც არ არის სადავო, არის ის, რომ ადამიანები თანამდებობაზე დანიშვნის დროს, სამართლიან პირობებში უნდა დგებოდნენ და უნდა აკმაყოფილებდნენ კრიტერიუმებს და ისე იკავებდნენ თანამდებობებს, – აცხადებს თინა ხიდაშელი.

გიორგი ვაშაძე: „დაბრალება, რომ ივანიშვილმა მიყიდა, სასაცილოა“

„დისკუსია ნაციონალურ მოძრაობაში ღალატად ითვლებოდა“

„ახალი საქართველოს“ ლიდერის, გიორგი ვაშაძის განცხადებით, ნაციონალურ მოძრაობაში პრობლემებზე ნებისმიერი დისკუსია ღამის ღალატად განიხილებოდა და მკაცრად ტაბუირებული და გასაიდუმლოებული იყო.

ასე გამოეხმაურა ვაშაძე ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის განცხადებას, რომელმაც აღნიშნა, რომ ბიძინა ივანიშვილმა გიორგი ვაშაძე იყიდა.

ვაშაძის თქმით, 2012 წლის მარცხის შემდეგ ერთიანი ნაციონალური მოძრაობისგან ამომრჩეველი ელოდა რეალურ რებრენდინგსა და კარდინალურ განახლებას, ამისთვის კი კარგი პერიოდი იყო 2013-2015 წლები.

– ნაციონალური მოძრაობის ძლიერი მხარე იყო მისი ერთგული ამომრჩეველი და პროფესიონალი ტექნოკრატი-რეფორმატორები. პირველები დღევანდელმა ლიდერებმა გამოიყენეს და არჩევნების შემდეგ აზრის გამოხატვაც კი აუკრძალეს, ხოლო მეორეებისგან არავინაა წარმოდგენილი საპარლამენტო სიაში, – განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

მისი თქმით, ის, თანამოაზრეებთან ერთად, სთავაზობდა რეფორმების კონკრეტულ გეგმას 2013-2015 წლებში, რაც არა უბრალოდ ახალი სახეების ფასადად გამოკიდებას, არამედ სისტემურ ცვლილებებს გულისხმობდა.

– დღევანდელი ენმ-ის ლიდერების აქტიური წინააღმდეგობის გამო, ეს არ განხორციელდა, რასაც ხელს უწყობდა მიხეილ სააკაშვილის დუმილი ასეთ მომენტებში. ნებისმიერი დისკუსია პრობლემებზე განიხილებოდა ღამის ღალატად და მკაცრად ტაბუირებული და გასაიდუმლოებული იყო, – აღნიშნა ვაშაძემ.

„ახალი საქართველოს“ ლიდერი მიხეილ სააკაშვილის იმ განცხადებასაც ეხმაურება, სადაც ყოფილი პრეზიდენტი, გიორგი ვაშაძის პარტიიდან წასვლის მიზეზებზე საუბრობს.

– დაბრალება, რომ ბიძინა ივანიშვილმა მიყიდა, უბრალოდ სასაცილო და უპასუხისმგებლოა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს სააკაშვილის მხრიდან პროცესების არაადეკვატურ შეფასებაზე.

მასთან და პარტიის სხვა ლიდერებთან არაერთხელ მისაუბრია ყველა პრობლემაზე, რაც პარტიის შიგნით იყო, მათ შორის პირადად მიხეილ სააკაშვილთან, აპრილში, ნაციონალური მოძრაობის დატოვებამდე ერთი კვირით ადრე, როდესაც კარგად ავუხსენი, რატომ ვეღარ ვხედავდი ჩემს ადგილს იმ სტალინურ-აპარატჩიკულ მენეჯმენტში. თუმცა, მაშინ სააკაშვილი პარტიის კულუარულ მმართველებთან, საკუთარი დუმილით კვლავ კომპრომისზე წავიდა. მე მაშინ ვუთხარი კიდეც, რომ საბოლოოდ ეს დასრულდებოდა არჩევნებში მარცხით და მისი ენმ-დან ჩამოშორებით, რაც მოხდა კიდეც, – განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

მისივე თქმით, სწორედ ნაციონალების ურთიერთმოკინკლავე ლიდერების გამოყენებით, ივანიშვილმა მოახდინა ჯერ 2016 წლის საარჩევნო კამპანიის პოლიტიკურიდან ისტერიულ ველში გადაყვანა, გარემოს პოლარიზაცია და შემდეგ საკონსტიტუციო უმრავლესობის „გაპრავება“.

– გულახდილად ვიტყვი, უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ ახლა არ მიწევს ამ მარაზმში ყოფნა, – აცხადებს გიორგი ვაშაძე.

ინტერპრესნიუსი

სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის აღების ფაქტზე ერთი პირი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლობის მთავარი სპეციალისტი ჟინვალის ადმინისტრაციულ ერთეულში მერი მთიულიშვილი დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მერი მთიულიშვილმა მოქალაქეს საქონლის ყალბი წარმომავლობის ცნობის დამზადების სანაცვლოდ ქრთამის სახით მოსთხოვა და გამოართვა 700 ლარი, რა დროსაც იგი ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 338-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 6-დან 9 წლამდე).

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge **E-mail:** axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ნარმანია მილიონერების სწავლას აფინანსებს“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ ამცირებს სოციალურ ხარჯებს ნარმანია მომავალი წლის ბიუჯეტში, რა უნდა ასწავლოს სამშენებლო კომპანიებს ხალხის ჯიბიდან ამოღებული ფულით, რატომ არ მცირდება ადმინისტრაციული ხარჯები, რატომ უშვებს თავის თანამშრომლებს 2-დღიან სემინარზე? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ „ახალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი ლევან ხაბეიშვილი ესაუბრება.

ლევან ხაბეიშვილი:

– დედაქალაქის სატენდერო დოკუმენტაციის შესწავლისას ერთი ძალიან საინტერესო დეტალი მომხვდა თვალში. სამშენებლო კომპანიებისთვის დედაქალაქის მერია ატარებს ტრეინინგს, რომ მათ განათლება მისცეს. ამაში დედაქალაქის მერია იხდის 10.000 ლარს. სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლები მილიონერები არიან და არ მესმის, რატომ უნდა გადავიხადოთ მათ განათლებაში თბილისელებმა ფული. ეგრევე რომ ტენდერი გამოაცხადა მერიამ, ჯერ ეკითხათ ამ კომპანიების წარმომადგენლებისთვის, ეგება საკუთარი ხარჯებით აფინანსებდნენ ამ ტრეინინგს.

დავით ნარმანიას ასეთ რამეში დღეს თუ 10.000-იანი ტენდერი გაუვიდა, ხვალ ეს თანხა შესაძლოა გააორმაგოს და გაასამმაგოს. სატენდერო დოკუმენტაცია კარგად შევისწავლე, მაგრამ ვერაფრით მივხვდი, რატომ უნდა გადავიხადოთ ამაში ფული. შესაძლოა, 10.000 სასაცილო თანხაა, მაგრამ მილიონერების სწავლაზე მერიამ ჩვენი ჯიბეებიდან ერთი თეთრიც კი არ უნდა დახარჯოს.

– რა უნდა ასწავლონ მილიონერებს, ეს მაინც თუ წერია სატენდერო დოკუმენტაციაში?

– ეს ტრეინინგი ეკომიმართულებით არის, მაგრამ მაინც არ მესმის, რატომ უნდა გადავიხადოთ ამაში ფული. დედაქალაქის მერიას თუ არ მოსწონს, როგორ მიდის მშენებლობები, ან ეკოლოგიის კუთხით არის რამე პრობლემა, ეს მათი მოსაგვარებელია, რადგან მერია გასცემს მშენებლობებზე ნებართვებს და სწორედ ამ ნებართვების საფუძველზე აშენებენ ეს კომპანიები ტროტუარებზე კორპუსებს.

განათლებაზე რაკი ვლაპარაკობთ, საინტერესო ამბავს გეტყვით, რომელიც თბილისის მომავალი წლის ბიუჯეტს ეხება. 2017 წლის დედაქალაქის ბიუჯეტში სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსება 150.000 ლარით მცირდება. სამაგიეროდ, მილიონერების სწავლა-განათლებას აფინანსებს ნარმანია. განათლების სამინისტროს ინფორმაციით, დღეის მდგომარეობით, 35.000 ახალგაზრდას აქვს სტუდენტის სტატუსი შეჩერებული. ამ ახალგაზრდების 70% სტუდენტის სტატუსი სწავლის გადასახადის გადაუხდელობის გამო შეუჩერდა.

კატასტროფული მდგომარეობა სოციალურ მუხლში, ამ მიმართულების დაფინანსება 29 მილიონით მცირდება. 2016 წლის ბიუჯეტში 209 მილიონი იყო გამოყოფილი ჯანმრთელობის დაცვაზე და სოციალურ უზრუნველყოფაზე. მომავალი წლის ბიუჯეტში ეს მუხლი 180 მილიონით დაფინანსდება. იმ დროს, როცა ქვეყანაში ასეთი მძიმე მდგომარეობაა, სოციალურად დაუცველებს კი არ უნდა აკლებდნენ დაფინანსებას, არამედ ბიუროკრატიულ ხარჯებს უნდა კვეცდნენ.

– ასეთ „მსხვერპლზე“ მერია ალბათ არ წავიდოდა.

– რა თქმა უნდა, არ წავიდოდა, ეგღა აკლიათ, კაი ცხოვრებაზე უარი თქვან. მეტსაც გეტყვით, მერიაში დასაქმებულთა რაოდენობა იზრდება. 2015 წელს მათი რიცხვი 3.919-ს შეადგენდა, 2016 წელს იყო 5.731. ამას ძალიან დიდი კრიტიკა მოჰყვა, მაგრამ ეს არავინ გაითვალისწინა და მომავალი წლის ბიუჯეტის თანახმად, მერიაში დასაქმებულთა რაოდენობა კიდევ 12 ერთეულით გაიზარდა. შესაბამისად, იზრდება ბიუროკრატიული ხარჯები. ესენი არც პრემიებს და დანამატებს მოიკლებენ, სამაგიეროდ, შემცირდება სოციალური უზრუნველყოფის და ჯანდაცვის ხარჯები.

6 მილიონით მცირდება სატრანსპორტო მიმართულება. სოციალურად დაუცველი ადამიანები საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობისას შეღავათიანი ტარიფით სარგებლობდნენ. 2016 წელს ვაუჩერებისთვის გამოყოფილი იყო 27 მილიონი, მომავალ წლის ბიუჯეტში ამ მიმართულებით 12 მილიონი ლარია მხოლოდ გათვალისწინებული.

საინტერესოა ისიც, თუ რა კატეგორიის ადამიანებს უმცირებენ ბიუჯეტს, საუბარია სოციალურად დაუცველ, მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. ბიუჯეტი მცირდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდების რეაბილიტაციის მიმართულებითაც.

ბიუჯეტი იმ გაჭირვებულების ხარჯზე მცირდება, ვისაც დახმარება ყველაზე მეტად სჭირდება. სამაგიეროდ, არაფერი არ იცვლება ბიუროკრატიისთვის და როგორც უკვე გითხარით, გამოიყო ფული, რომ მილიონერებს მისცენ განათლება.

მერიას თავისი თანამშრომლების განათლებაზეც უზრუნია. გამოცხადებულია 58.000 ლარიანი ტენდერი 2-დღიანი სემინარის მოსაწყობად. ჩვენ ზოგადად განათლების მიცემის წინააღმდეგი არ ვართ, უბრალოდ, მათ პრიორიტეტებთან ეს თანხვედრაში არ არის.

ლევან ხაბეიშვილი:

„სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსება 150.000 ლარით მცირდება“

– რატომ არ არის თანხვედრაში?

– მაშინ, როცა ადამიანებს გამოცდების და ტესტირებების გარეშე ნიშნავენ თანამდებობებზე, მაშინ როცა ადამიანები გამოცდას ვერ აბარებენ და მაინც მაღალ თანამდებობაზე რჩებიან, ბუნებრივია, იბადება კითხვა, მაშინ რაღას იხდი 58.000 ლარს განათლებაში.

ეჭვი მაქვს, რომ ეს 2-დღიანი გასვლითი ღონისძიება „ქართული ოცნების“ შტაბისთვის, ვინც არჩევნებზე თავი გამოიდო, ღრეობა იქნება. კიდევ ერთხელ ვამბობ, დედაქალაქის მერიას განათლებული კადრები რომ სდომოდა, ამაზე აქამდე იზრუნებდნენ, უდიპლომოებით და გამოცდაზე ჩაჭრილებით კი არ აავსებდნენ იქაურობას.

ჩვენ ამ ტენდერს განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ და აუცილებლად გამოვითხოვთ, ვინ წავიდა ამ სემინარზე და რა სახის ტრეინინგები ჩაუტარდათ მათ.

ჩვენი ყურადღება კიდევ სამმა ტენდერმა მიიქცია, რომლის მთლიანი ღირებულება 1.800.000 ლარია. ეს თანხა დედაქალაქში არსებული ორმოულების შეკეთებას უნდა მოხმარდეს. სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული არ არის მისამართები, თუ სად უნდა მოხდეს ამ ორმოულების შეკეთება. აქედან გამომდინარე, ისე გაათეთრებენ ფულს, ნახევარი საქართველო ვერ გაიგებს. მისამართი როცა არ ფიქსირდება, მიდი და სდიე მერე, სად რა გააკეთეს.

– მიღება-ჩაბარების აქტებით არ შეიძლება ამის გაკონტროლება?

– ორმოულების მიმართულებით ეს არ გამოგვადგება. ორმოული შესაძლოა ამოავსონ, მაგრამ მეორე დღეს გაფუჭდეს. ამიტომ თავისუფლად შეუძლიათ თქვან, ჩვენ გავაკეთეთ, მაგრამ დაზიანდაო. თან წინ ზამთარი გველოდება და ამ პერიოდში გზა ხშირად კეთდება.

ამის გარდა, ჩვენ გვაქვს მიზეზი, თუ რატომ არ არის მერია სანდო. გასულ წელს გამოაცხადეს ტენდერი, რომლის შესწავლის შემდეგაც გაირკვა, რომ გზის დაგებას იქ აპირებდნენ, სადაც გზა უკვე გაკეთებული იყო. ამისთანა ხალხისგან ყველაფერია მოსალოდნელი.

ამიტომაც მოვუწოდებ დედაქალაქის საკრებულოში მყოფ ოპოზიციას – მაქსიმალურად გააკონტროლეთ მერიის საქმიანობა!

სააკაშვილს შესაძლოა უკრაინის მოქალაქეობა ჩამოართვან

რადის დეპუტატი რაბინოვიჩი უკრაინის პროკურატურას მიმართავს

შორენა მარსაგიშვილი



მიხეილ სააკაშვილს პოლიტიკურმა ფორტუნამ უკრაინაშიც ზურგი აქცია. ოდესის ოლქის გუბერნატორობიდან გადამდგარი ჩვენებური, შესაძლოა, უკრაინიდან გამოაძევონ. რადის დეპუტატი მის საქართველოში ექსტრადირებას ითხოვს.

დეპუტატმა ვადიმ რაბინოვიჩმა ქვეყნის გენერალურ პროკურატურას მიმართა, რათა აღნიშნულმა უწყებამ, ოდესის ოლქის ექსგუბერნატორის მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ექსტრადირების საკითხის შესწავლა დაიწყოს.

აღნიშნული განცხადება დეპუტატმა 16 ნოემბერს გააკეთა.

– იმასთან დაკავშირებით, რომ მიხეილ სააკაშვილისთვის უკრაინის მოქალაქეობის მიცემის დროს კანონმდებლობა იქნა დარღვეული, მე ვთხოვე პროკურატურას, ყველაფერი სამართლებრივ სიბრტყეში დააბრუნოს და მიხეილ სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობა ჩამოართვას. გარდა ამისა, ჩვენ საქართველოსთან გაფორმებული გვაქვს შეთანხმება საერთაშორისო დამნაშავეთა ექსტრადირების თაობაზე. ჰოდა, მოდით, ნუ დავარღვევთ ხელშეკრულებას, ნუ დავუპირისპირდებით საქართველოს ამ ერთი კაცის გამო და გადავცეთ იგი თბილისს, – განაცხადა ვადიმ რაბინოვიჩმა საკითხის კომენტირებისას.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა მიხეილ სააკაშვილს უკრაინელი პოლიტიკოსები საქართველოში ექსტრადირებით ემუქრებიან. ამ თემაზე გასულ კვირასაც იყო საუბარი. მაშინ სააკაშვილმა ამაყად განაცხადა, საქართველოში თუ გამიშვებენ და ციხეში ჩამსვამენ, მეორე დღესვე გარეთ ვიქნები, რადგანაც 500.000 ადამიანი მიჭერს მხარსო.

ამ დროს საქართველოს ხელისუფლება მის ექსტრადირებას საერთოდ არ ითხოვს. არადა მის წინააღმდეგ სამართლებრივი დევნა აქვთ დაწყებული.

◆ ◆ ◆

საქართველოში ექსპრეზიდენტის დაბრუნების დიდი სურვილი არც მის მიერ დაფუძნებულ პარტიას აქვს. ნაციონალების ლიდერთა დიდი ნაწილი და სააკაშვილი ერთმანეთს მედიის მეშვეობით ესაუბრებიან. 15 ნოემბერს მან გადაცემა არჩევანში საუბრისას აღიარა, რომ პარტიაში დაპირისპირებაა.

მის განცხადებებს თბილისში მალევე მოჰყვა პასუხები. პარტიაში არსებული დაპირისპირება გიგა ბოკერიამაც დაადასტურა.

მისი თქმით, პარტიის ერთი ნაწილის ძალიან აგრესიული რეაქცია პარლამენტში შესვლის გადაწყვეტილებას მოჰყვა. ამ გადაწყვეტილებას ბოკერია სწორ გადაწყვეტილებად აფასებს. მისი თქმით, ამ აგრესიულმა რეაქციამ ნაცმოძრაობის წინააღმდეგ ბინძური კამპანია წაახალისა:

– ჩვენი პარტიის ერთი ნაწილის მხრიდან ამ გადაწყვეტილებას ძალიან აგრესიული რეაქცია მოჰყვა, რამაც ძალიან ბინძური კამპანია წაახალისა ჩვენთან დაკავშირებით, რომ თითქოს ივანიშვილს შევეკარით. ეს იყო ძალიან დიდი შეცდომა, ისევე, როგორც ძალიან დიდი შეცდომაა არჩევნებზე ხელის ჩაქნევა, გამოცხადება, რომ არჩევნებს აზრი არ აქვს მაშინ, როცა წინ გველის თვითმმართველობის არჩევნები და ვაპირებთ ჩვენს აქტივთან ერთად ამ არჩევნებზე ბრძოლას. ეს არის ჩვენი ამოცანა, ხალხის გვერდზე დგომა და არა ამ ბინძური კამპანიის წახალისება, - განაცხადა გიგა ბოკერიამ.

მართალია პარტიაში დაპირისპირებას ადასტურებენ, მაგრამ სააკაშვილთან გამიჯვნას კატეგორიულად უარყოფენ.

ნაციონალური მოძრაობის აღმასრულებელი მდივანი სერგო რატიანი ამბობს, რომ სააკაშვილი ყოველთვის ამ პარტიასთან ასოცირებულ პირად დარჩება.

– მიხეილ სააკაშვილი პარტიის დამფუძნებელია და ამიტომ გაუგებარია კითხვა იმაზე, როგორ შეიძლება არ დარჩეს მიხეილ სააკაშვილი პარტიასთან ასოცირებული პირი. რაც შეეხება პარტიის თავმჯდომარის არჩევას, ამაზე არის მოსაზრებები და ყრილობა გადაწყვეტს ამ საკითხს, – აღნიშნა რატიანმა.

მანანა კობახიძე: „უსუფაშვილი იყო საუკეთესო პარლამენტის თავმჯდომარე“

– დავით უსუფაშვილი იყო საუკეთესო პარლამენტის თავმჯდომარე, – განაცხადა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ პარლამენტის თავმჯდომარის სახელით გამართულ მიღებაზე.

– მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ბატონ დავით უსუფაშვილს, მერვე მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარეს. მე მინდა ვთქვა, რომ ის იყო საუკეთესო პარლამენტის თავმჯდომარე და ყველა ჩემი კოლეგა დამეთანხმება როგორც პოზიციიდან, ასევე ოპოზიციიდან.

მე პირადად ძალიან ბევრი ვისწავლე მისგან, როგორც პოლიტიკოსისგან, როგორც ადამიანისგან. როგორც პირველი ვიცე-სპიკერი, შემიძლია ვთქვა, რომ საუკეთესო იყო ეს 4 წელი, მასთან მუშაობის თვალსაზრისით, – განაცხადა კობახიძემ და დავით უსუფაშვილს წარმატება უსურვა.

პირველი რადიო

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

რამაზ საყვარელიძე: „ნაცმოძრაობა წამგებიანი ალტერნატივის წინაშეა“

შეინარჩუნებს სააკაშვილს, სააკაშვილი წააგებინებს, დაკარგავს სააკაშვილს და უსააკაშვილობა წააგებინებს

ნონა ცაბაძე

ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე პროცესებზე „ახალი თაობა“ ექსპერტ, ფსიქოლოგ რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.

– ბატონო რამაზ, როგორ აფასებთ ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებებს, რომელიც აცხადებს, რომ ივანიშვილმა ყველაფერი გააკეთა, რომ დაეშალა ნაციონალური მოძრაობა. ჯერ იყო და პირველი ჯგუფი – გირჩი, შემდეგ მეორე ჯგუფი – ვაშაძე. არის სიმართლე მიხეილ სააკაშვილის განცხადებებში?

– ექსპრეზიდენტის სიმართლე იშვიათია ხოლმე. მას უყვარს იმის თქმა, რაც მისთვის მომგებიანია იმ მომენტში და არ აინტერესებს, ეს სიმართლეა თუ არა. ის, რომ დაშლის ნიშნებია, დღეს კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდა. დღევანდელი დაშლა ლოგიკურს ხდის იმას, რომ წინა ჯგუფების გამოყოფა, გირჩის და ვაშაძის გუნდების, შემთხვევითი არ იყო.

– რას გულისხმობთ?

– იგივე მიზეზებს, როცა ანგარიში არ ეწევა დანარჩენ წევრებს. ალბათ იგივე მიზეზი იყო მათ გამოყოფაშიც. ამიტომ, ივანიშვილის კისერზე ამ პროცესის ჩამოკიდება და საკუთარი შეცდომების დაუნახაობა, არა მგონია, რომ სწორი სტრატეგია იყოს. თუნდაც იმისთვის, რომ სამომავლოდ შეინარჩუნოს ამ პარტიამ სახე და სააკაშვილმა – პარტიაში ადგილი.

– ის ითხოვს სასწრაფოდ ყირლობის ჩატარებას. „ნაციონალურ მოძრაობაში არის საშიში ტენდენცია – სვეტების ჯგუფი“. რას გულისხმობს სააკაშვილი?

– ახლა გავრცელდა ინფორმაცია, რომ სააკაშვილი ფარულად, პირიქით ცდილობს იმას, რომ ყრილობა არ ჩატარდეს. მე უფრო დამაჯერებელი ეს მეორე ვერსია მგონია და არა – განცხადებული სურვილი ყრილობის ჩატარების.

– რატომ? სააკაშვილი ხვდება, რომ შესაძლებელია თავიდან მოიშორონ?

– სწორედ რომ ასეა, თუკი მხარდამჭერების რაოდენობა საკმარისი არ ჰყავს და წესით არც უნდა ჰყავდეს.

– სააკაშვილი ნაციონალური მოძრაობის ზოგიერთ წევრს თვითგამოცხადებულ ლიდერს უწოდებს. აქ ბოკერია და მისი ფრთა იგულისხმება?

– აქ ერთი საინტერესო ტენდენციაა. უკვე მერამდენე ინტერვიუ აქვს მაგას მიცემული ამ თემაზე და სახელებს არსად ამბობს. გახსოვთ, ასეთივე სტილი ჰქონდა ივანიშვილთან საუბრის დროს, 2012 წლის არჩევნების წინ. ანუ, როცა მეტოქის ეშინია, ის ცდილობს, მისი სახელი არ თქვას.

– ამას რით ხსნით?

– ამ შიშს ალბათ რეალური საფუძველი გააჩნია თვითონ სააკაშვილის თვალში.

– რეალურია ეს შიში? დაკარგავს თავმჯდომარეობას, ლიდერის პოსტს?

– პრაქტიკულად დაკარგული აქვს, როცა ლიდერის გადაწყვეტილებას პარტია არ ემორჩილება, ის რაღა ლიდერია მაშინ.

– რა ხდება ნაციონალური მოძრაობის მეორე ფრთის მხარეს? ისინი შევიდნენ პარლამენტში, საპარლამენტო თანამდებობებიც მოირგეს, თუმცა ახალი სახეები წამოწიეს წინა პლანზე. გადახალისება მიდის?

– დიახ, გადახალისება მიდის, გადასინჯვა, გადაფასება თითოეული წევრის და მთლიანად პარტიის მოღვაწეობისა. გასაკვირი იქნებოდა, ეს რომ არ მომხდარიყო. აქამდე რომ არ ხდებოდა, ეს მიკვირდა. წესით, დიდი ხნით ადრე უნდა მომხდარიყო ეს ამბავი. თუმცა სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

– დღეს იკვეთება ისეთი ტენდენცია, რომ მთლიანად სააკაშვილს შეახოცონ ხელი მისმა თანაგუნდელებმა. ეს რამდენად გამართლებულია ადამიანური თვალსაზრისით და თუნდაც პოლიტიკურად?

– მოდით, პოლიტიკურით დავიწყოთ, იმიტომ, რომ ადამიანური თვალსაზრისი არც ისე კარგი მრჩეველია პოლიტიკაში. პოლიტიკური თვალსაზრისით არის მათთვის მეტ-ნაკლებად წამგებიანი ეს გზა, რადგან სააკაშვილის ქარიზმა ბევრ ხმას აძლევდა პარტიას. ამ ქარიზმის გარეშე, სავარაუდოა, რომ ნაციონალური მოძრაობა იგივე შედეგებს აჩვენებს, რასაც გირჩი და ვაშაძის პარტია. მეორე მხრივ, თუკი ისინი სააკაშვილს შეინარჩუნებდნენ, როგორც ლიდერს, მაშინ მისი ჯიუტი მოთხოვნები დააყენებდა პარტიას დარტყმის ქვეშ.

– რა კუთხით?

– როცა სააკაშვილი უბიძგებდა პარტიას ქუჩის აქციებისკენ, ეს პარტიის განადგურების ტოლფასი იყო. მერე სააკაშვილს ექნებოდა სალაპარაკო, რომ აი, ივანიშვილმა ქუჩის მომიტინგეები დაარბია და დემოკრატიას ღალატობს. ამისთვის უნდოდა სააკაშვილს ქუჩაში მათი გაყვანა.

პარტია ამჟამად წამგებიანი ალტერნატივის წინაშეა. არც ერთი ალტერნატივა მისთვის მომგებიანი არ არის. შეინარჩუნებს სააკაშვილს, სააკაშვილი წააგებინებს, დაკარგავს სააკაშვილს და უსააკაშვილობა წააგებინებს.

– ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდების პოზიციაში არიან?

– მე მაინც ვთვლი, რომ პარტიამ უფრო სწორი გადაწყვეტილება მიიღო. რომც დაბალი შედეგები აჩვენონ, გუნდი უფრო ერთიანი იქნება, გუნდი იქნება და არა – ერთ კაცზე ორიენტირებული. გადაწყვეტილებებსაც გაფილტრავენ და ისე მიიღებენ. აი, სააკაშვილს რომ გუნდისთვის მოესმინა, შეიძლება მათთვის ნორმალური შედეგიც კი დამდგარიყო. ერთმანეთს რომ არ უსმენენ, იმან გააჩინა ის, რაც მოხდა.

– სააკაშვილის პოზიციები უკრაინაშიც შეირყა, აქ კი ლიდერის პოზიციებს კარგავს. ამ სიტუაციაში როგორ იმოქმედებს სააკაშვილი? შესაძლოა, რაიმე ახალი ვარიანტი შემოგვთავაზოს? ელით რაიმე ნაბიჯებს მისგან?

– ძნელია იმის თქმა, რომ არ ველი. ძალიან ენერგიული და ექსცენტრიული პოლიტიკოსია, რომელიც ლოგიკურად არ იქცევა და ამ ალოგიკურობაში მან შეიძლება ბევრი ისეთი სვლა გააკეთოს, რასაც ახლა ვერ განსაზღვრავს ადამიანი.

სავარაუდოა, რომ ის ეცდება, დაალაგოს ურთიერთობა ტრამპის ადმინისტრაციასთან. სავარაუდოა, რომ ამერიკის გავლით ეცდება უკვე, რომ შევიდეს უკრაინაში. ანუ ამერიკული გავლენით იმოქმედოს უკრაინაში. ეს რამდენად შედეგიანი იქნება, ამის თქმა ძნელია, რადგან ტრამპის პოლიტიკა ჯერ გახსნილი არ არის, მისი ხასიათი და პოლიტიკა ჯერჯერობით ბუნდოვანია. ხოლო სააკაშვილს, ამერიკის გარდა, სხვა დასაყრდენი, პრაქტიკულად, არ გააჩნია. თუ ეს საყრდენიც გამოეცალა, მერე როგორ იმოქმედებს, ეს ძნელი სათქმელია.

უსუფაშვილი: „ერთმანეთისთვის მიყენებული ჭრილობებიდან ჯერ კიდევ სისხლი გვდის“

„პარლამენტის შეკრებისთვის ყველაფერი მზად არის“

– ახალარჩეული პარლამენტის შეკრებისთვის ყველაფერი მზად არის და ყველა საორგანიზაციო საკითხი დასრულებულია. პოლიტიკური ცხოვრება არჩევნებით არ მთავრდება – პარლამენტში და მის გარეთაც აქტიური პოლიტიკური საქმიანობა იქნება.

ამის შესახებ ჟურნალისტებს პარლამენტის ჯერ კიდევ მოქმედმა თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა განუცხადა.

– პარლამენტში და პარლამენტს გარეთაც აქტიური საქმიანობა იქნება, რომელშიც მეც ვიქნები ჩართული და ბევრი სხვა ჩემი კოლეგა, რომლებიც ხვალ-ზეგ დატოვებენ პარლამენტს, – განუცხადა ჟურნალისტებს უსუფაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, ახალარჩეული პარლამენტის შეკრებისთვის ყველაფერი მზად არის და ყველა საორგანიზაციო საკითხი დასრულებულია.

გუშინ, 16 ნოემბერს, პარლამენტში დავით უსუფაშვილის სახელით მიღება გაიმართა, სადაც ძველი და ახალი პარლამენტის წევრები იყვნენ მიწვეული. ღონისძიებაზე იმყოფებოდა გიორგი კვირიკაშვილი, მთავრობის წევრებთან ერთად.

– ჩვენ ვიქნებით თანამშრომლობის რეჟიმში, ოპონირების რეჟიმშიც და ხშირად მწვავე ოპონირების რეჟიმშიც. პარლამენტში იმიტომ დგას 150 სკამი და არა ერთი, რომ ვიკამათოთ და გავუზიაროთ ერთმანეთს განსხვავებული მოსაზრებები, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

მისი თქმით, „საარჩევნო ბატალიებით ერთმანეთისთვის მიყენებული ჭრილობებიდან ჯერ კიდევ სისხლი გვდის, შესაძლოა, ყველაფერი არ მოშუშებულა“.

– მე მინდა, ვისურვო, რომ დღევანდელი დღიდან, საარჩევნო ჭრილობებს ყველა ბოლომდე მოვიშუშებთ მხოლოდ იმისთვის, რომ გავაგრძელოთ პოლიტიკური ბატალიები, არა იმისთვის, რომ მორჩა, შევთანხმდით და ყველაფერში ყველა ერთმანეთს დავეთანხმებით. არა! ჩვენ ვიქნებით თანამშრომლობის რეჟიმშიც, ოპონირების რეჟიმშიც, ხშირად მწვავე ოპონირების რეჟიმშიც, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

პარლამენტის მომავალი თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე ყველაფერს გააკეთებს, რომ ის პოზიტიური ტრადიციები გაგრძელდეს, რითაც ჩვენი საპარლამენტო ცხოვრება მდიდარია.

– დავით უსუფაშვილმა საქართველოს პარლამენტარიზმისა და დემოკრატიული პროცესების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, – განაცხადა მან.

თამარ ჟვანია: „საქართველო ჩატარებული არჩევნებით რეგიონში ლიდერია“

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თამარ ჟვანიას განცხადებით, მან, როგორც ცესკოს თავმჯდომარემ, ჩატარებულ არჩევნებთან დაკავშირებით სხვადასხვა საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციისგან მილოცვები მიიღო.

ამის შესახებ ჟვანიამ ჟურნალისტებს, არჩევნების საბოლოო შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნების შემდეგ განუცხადა.

– ჩვენ ახლახან მოგვიწია მონაწილეობის მიღება სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციაზე, სადაც ყველა საერთაშორისო პარტნიორი, მხარე, მათ შორის ჩვენი კოლეგები, გვილოცავენ მთელს ქვეყანას წარმატებული არჩევნების ჩატარებას, – აღნიშნა ცესკოს თავმჯდომარემ.

მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით ცესკოს კომისიის ორმა წევრმა განსხვავებული აზრი დააფიქსირა, ჩატარებული არჩევნები საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შეფასდა, როგორც თავისუფალ გარემოში ჩატარებული არჩევნები და წინგადადგმული ნაბიჯი.

– ძალიან ბევრ დასკვნაშია ასახული, რომ საქართველო თავისი ჩატარებული არჩევნებით დღეს არის ლიდერი დემოკრატიისა და არჩევნების განვითარების კუთხით რეგიონში, – განაცხადა თამარ ჟვანიამ.

მედიანიუსი

გიორგი მშვენიერაძე: „რუსთავი 2“ არ გვჭირდება კეკლუცობისთვის“

დემოკრატიული ინიციატივის თავმჯდომარე გიორგი მშვენიერაძე აცხადებს, რომ რუსთავი 2-ის გაჩუმება დემოკრატიის დასამარების დასაწყისი იქნება.

მშვენიერაძე ამბობს, რომ სამოქალაქო საზოგადოება და არასამთავრობო ორგანიზაციები ყველაფერს გააკეთებენ, რომ დაიცვან რუსთავი 2.

– მე ვიცნობ საკასაციო სასჩივარს და მინდა მჯეროდეს, რომ უზენაესი სასამართლო იმ ოთხ მოსამართლეზე მაღლა აღმოჩნდება, რომლებმაც პირველ ინსტანციაში და სააპელაციო სასამართლოში მიიღეს რევოლუციურად უკანონო გადაწყვეტილებები, რომელიც ერთი მხრივ, სიტყვის თავისუფლებას უქმნიდა საფრთხეებს, მეორე მხრივ, კონსტიტუციური მნიშვნელობის პრინციპებს არღვევს კერძო სამართალში.

რუსთავი 2 არ გვჭირდება კეკლუცობისთვის, ეს სჭირდება ქვეყანას და მოქალაქეებს. ყველა ჩვენი საერთაშორისო პარტნიორის თვალში, რუსთავი 2-ის საქმეზე არსებული სასამართლო გადაწყვეტილებების ძალაში დატოვება იქნება ნიშანი, რომ ქვეყანა მიდის დეგრადაციის გზაზე. ეს ძალიან ცუდ გავლენას მოახდენს ქვეყნის იმიჯზე. ყველა საშუალებას გამოვიყენებთ, რომ დავიცვათ რუსთავი 2, – განაცხადა მშვენიერაძემ.

ნიუპოსტი

გიორგი ახვლედიანი: „არჩევნების შემდეგ პროდასავლური პარტიები ჩამოინგრა“

დემოკრატიული მოძრაობის წევრის, გიორგი ახვლედიანის განცხადებით, ბევრი „დანგრეული“ პარტია ცდილობს, ერთი პარტია მაინც შექმნას.

– არჩევნების შემდეგ ეს ეგრეთ წოდებული პროდასავლური პარტიები ჩამოიშალნენ. ზოგი გაიქცა, ზოგი წავიდა სადღაც და ახლა ცდილობენ, ბევრი დანგრეული პარტიიდან ერთი მაინც შექმნან, აქ უჩვეულო არაფერია და ეს ბუნებრივიცაა.

ეს თემა სერიოზულ განხილვას საჭიროებს, დემოკრატიული მოძრაობაც არ გამორიცხავს იდეოლოგიურად თანხვედრ ძალებთან კონსულტაციებს, თუმცა ამაზე ჯერ საუბარი არ არის, ეს სავარაუდოდ შეიძლება ვიხილოთ 2017 წლის გაზაფხულიდან და პროცესები თავად გვიკარნახებენ, თუ რა უნდა მოვიმოქმედოთ, – განაცხადა გიორგი ახვლედიანმა.

ბურჯანაძის გუნდის წევრი დავით უსუფაშვილის პოლიტიკური მომავლითაც დაინტერესდა და პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს რესპუბლიკელებისგან მკაფიო გამიჯვნა ურჩია.

– უსუფაშვილმა უნდა დაიწყოს სოლო კარიერა, ვიდრე მას აქვს შერჩენილი პარლამენტის თავმჯდომარის იმიჯი, იგი უნდა გაემიჯნოს უკვე კარგად „გასვრილ“ რესპუბლიკელებს და ან დამოუკიდებლად, ან სხვა პოლიტიკურ ძალებთან ერთად განაგრძოს პოლიტიკური კარიერა, – განაცხადა გიორგი ახვლედიანმა.

მედიანიუსი

კონსტანტინე გამსახურდია: „ოპოზიცია ძლიერი იყო 2007 წლის 2 ნოემბერს“

ნათია ხურცილავა

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო კონსტანტინე, 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ოპოზიცია ერთგვარად დაბნეულია. ისეთი პროცესები განვითარდა, რომელთაც თვითონაც არ მოელოდნენ, ამას დაემატა საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება მმართველი ძალის მიერ. გადალახავს ამ სირთულეებს ოპოზიცია?

– იშვიათია პერიოდი, როდესაც სახელისუფლო ბლოკს საკონსტიტუციო უმრავლესობა არ ჰქონოდა მოყოლებული. გამონაკლისი იყო 2012-2016 წლები. ეს არჩევნები ყველას დაემუქრა. ოპოზიციის ნაწილმა დამდგარ შედეგებზე მწვავე რეაგირება მოახდინა. ერთი მხრივ, მოვლენებს გაერიდნენ და მეორე მხრივ, თავის თავზე აიღეს პასუხისმგებლობა. თუმცა, არავინ არსად წასულა, სადღაც პოლიტიკის სიახლოვეს რჩებიან, ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი კვლავ გამოჩნდებიან. ოპოზიცია არსებობს იმდენად, რამდენადაც ის არსებულ რეალობას აპროტესტებს და გამოხატავს თავის მზადყოფნას, რომ არ შეეგუოს არსებულ სიტუაციას და იბრძოლოს ახალი რეალობისთვის.

– ახლა ოპოზიცია ცდილობს, საარჩევნო კანონმდებლობის ირგვლივ გაერთიანდეს. რამდენად შეძლებს რეალური შედეგის მიღებას?

– ნორმალური საარჩევნო კანონმდებლობისთვის ბრძოლა ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა ოპოზიციის არსებობისთვის. სამი წელიწადი გახდება მალე, რაც ჩვენ უკვე ვიკრიბებით და ვცდილობთ სამართლიანი საარჩევნო კანონმდებლობის დამკვიდრებას. თუმცა, რეალურად ხელისუფლებას არაფერი შეუცვლია. მან დროის გაყვანის ტაქტიკას მიმართა და კოსმეტიკური ცვლილებაც კი არ განახორციელა. ხელისუფლებამ ასეთი შულერული მეთოდებით მიაღწია სწორედ საკონსტიტუციო უმრავლესობას. ასევე არალეგალურად განკარგა უზარმაზარი თანხა, ასეულობით მილიონი. ეს იყო ფარსი, მიზანი იყო, რომ ძირითადი განაწილება სწორედ ამ ორ პარტიას შორის მომხდარიყო.

– საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ოპოზიციური პარტიების ლიდერებმა ერთმანეთის მიყოლებით უარი თქვეს აქტიურ პოლიტიკაზე ან უკანა პლანზე გადავიდნენ. არჩევნების შედეგით იყო ეს ნაკარნახევი?

– არჩევნები არის გამოხატულება იმ პროცესის, რაც რეალურად ქვეყანაში მიდის. ეს არის ძალაუფლებისა და რესურსების კონცენტრაცია ერთი ადამიანისა და ერთი პოლიტიკური ძალის ხელში. არჩევნებიც და სხვა დანარჩენი პოლიტიკური პროცესიც არის ფაქტების კონსტატირება და სხვა არაფერი. რაც შეეხება იმას, რომ ლამის ოპოზიცია გაუქმდეს, როგორც ასეთი, როდის არ იყო ამ ქვეყანაში ოპოზიცია გაუქმების პირზე?! მე არ მახსოვს პერიოდი, როდესაც საწინააღმდეგო ყოფილიყო.

– ძლიერი ოპოზიცია არ გახსოვთ?

– თუ არ ჩავთვლით 2007 წლის 2 ნოემბერს, როდესაც მართლაც დიდი ძალა ჰქონდა ოპოზიციას, მაგრამ ეს იყო ფრაგმენტული. მოქმედი ხელისუფლება ჯერ-ჯერობით ახერხებს, რომ ხალხში მასობრივი უკმაყოფილების საპროტესტო მუხტი არ იყოს. მაგრამ როდემდე?! ადრე თუ გვიან, ეს მუხტი გარდაუვალია.

– დღეს ოპოზიციაში ნიჰილისტური განწყობები სჭარბობს?

– არ მგონია, ასე იყოს. ნიჰილისტური განწყობებისთვის დრო და ადგილი არ რჩება ოპოზიციაში. მაშინ ქუდი უნდა დაიხურონ და პოლიტიკიდან წავიდნენ. პოლიტიკაში ნიჰილისტური განწყობილებების ადგილი არ არის.

– შეიძლება იქითკენ მიდის ყველაფერი, რომ სწორედ ორპარტიული სისტემა არის მომავალი ამ პოლიტიკური პროცესის?

– არა, არა მგონია, რომ ორპარტიული პოლიტიკური სისტემა იყოს ჩვენი მომავალი. მე მგონია, რომ ეს არის ორი, ტოტალიტარულად განწყობილი, პარტიის რაღაცნაირი თანაარსებობა. სწორედ ამ ორმა ძალამ გაიყო მთელი პოლიტიკური ველი, პოლიტიკური პოზიციები. ეს არის რეალობა, ერთმა აიღო უმრავლესობა, მეორემ – უმცირესობა. „ქართულ ოცნებას“ წყალივით ესაჭიროება ნაციონალური მოძრაობა, რომ დაარწმუნოს თავისი ამომრჩეველი – თუ ის არა, ნაციონალები დაბრუნდებიან, მიხეილ სააკაშვილის აქტიურობა ამაზე პირდაპირ ასხამს წყალს.

„პოლიტიკა ნიჰილისტური განწყობების ადგილი არ არის“

– თუმცა, პარლამენტში შედის პატრიოტთა ალიანსიც.

– დიახ, მაგრამ ისინი მოკრძალებული რაოდენობით იქნებიან წარმოდგენილნი საკანონმდებლო ორგანოში. ისინი ოპოზიციის ძირითად იდეებსა და ინიციატივებს გაახმოვანებენ და სხვა არაფერი. პარლამენტის ტრიბუნა ნამდვილად არის გამოსაყენებელი.

ვიქტორ დოლიძე სახელმწიფო მინისტრის პოსტს დაიკავებს

შორენა მარსაგიშვილი

მარგველაშვილმა „ოცნების“ დეპუტატებს სიურპრიზი მოუწყო

საქართველო 19 ნოემბრის მოლოდინში იყო გასუსული. „ქართული ოცნების“ წევრების განცხადებით, სწორედ ამ დღეს გაიმართებოდა ახლად არჩეული პარლამენტის პირველი სხდომა. უფრო სულსწრაფმა დეპუტატებმა მოვლენები დააჩქარეს და პირველი სხდომა 18 ნოემბრის 12 საათზე ჩანიშნეს.

სხდომამდე დარჩენილი დღეების გასვლას მომავალი დეპუტატები გაჭირვებით ელოდნენ, მაგრამ სანატრ თარიღამდე 3 დღით ადრე პრეზიდენტმა უსიამოვნო სიურპრიზი შესთავაზა.

კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ დეპუტატებს მოუწოდა, ახალი მოწვევის პარლამენტის პირველი სხდომის ჩატარების თარიღთან დაკავშირებით ნაჩქარევი განცხადებების გაკეთებისგან თავი შეიკავონ.

ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ ქვეყნის პირველი პირი სხდომის თარიღთან დაკავშირებით შესაბამის სამართლებრივ აქტს მას შემდეგ გამოსცემს, რაც ცესკო არჩევნების შემაჯამებელ ოქმს გამოაქვეყნებს.

შემაჯამებელი ოქმი ცესკომ გუშინ, 16 ნოემბერს, გამოაქვეყნა. ოქმის გამოქვეყნების პარალელურად თამარ ჟვანიამ განმარტა, თუ როდის უნდა დაინიშნოს სხდომა. მისი განცხადებით, პრეზიდენტს აქვს 20-დღიანი ვადა არჩევნების მეორე ტურის ჩატარებიდან, რომ პარლამენტის პირველი სხდომა დანიშნოს.

– საქართველოს პრეზიდენტის გადასაწყვეტია პირველი სხდომის შესახებ გადაწყვეტილების მიღება. მაქსიმალური ვადა, როგორც მოგეხსენებათ, გახლავთ ის, რაც წერია კანონმდებლობაში და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 120-ე მუხლში, რომ არჩევნების მეორე ტურის დღის დასრულებიდან 20 დღის ვადაში უნდა ჩატარდეს საქართველოს პარლამენტის პირველი სხდომა, – განაცხადა ჟვანიამ.

მომავალ პარლამენტში მოხვედრილი ხალხი პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადებას დიდი აღფრთოვანებით არ შეხვედრია. გია ვოლსკი ამბობს, რომ ადმინისტრაციის განცხადება უადგილოა.

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი კახიანი კონსულტაციების იმედზეა.

– დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტი კონსულტაციების შედეგად მიიღებს გადაწყვეტილებას, როდის დაინიშნება პარლამენტის სხდომა. სხდომის დანიშვნის უფლებამოსილება არის პრეზიდენტის პრეროგატივა და ამას გააკეთებს პრეზიდენტი. იმაში, რომ ზოგიერთი დეპუტატი საუბრობს სხდომის სავარაუდო თარიღზე, თავისთავად იგულისხმება, რომ სხდომას პრეზიდენტი დანიშნავს, – განაცხადა კახიანმა.

სიტუაციის „გალაითებას“ შეეცადა მამუკა მდინარაძე. მისი თქმით, „ქართული ოცნების“ მხრიდან ახალი მოწვევის პარლამენტის პირველი სხდომის დანიშვნაზე მხოლოდ ვარაუდები გამოითქვა.

როგორც მდინარაძემ აღნიშნა, არსებობს გარკვეული საკითხები, რაც მხოლოდ პრეზიდენტის უფლებამოსილებას განეკუთვნება და ამ დისკრეციის ფარგლებში იგი ჩანიშნავს პირველი სხდომის თარიღს.

– არსებობს გარკვეული საკითხები, რაც მხოლოდ და მხოლოდ პრეზიდენტის დისკრეციას განეკუთვნება, ამ დისკრეციის ფარგლებში იგი ჩანიშნავს პირველი სხდომის თარიღს. დანარჩენი იყო მხოლოდ გამოთქმული ვარაუდი, შესაბამისად, ჩვენ ველოდებით პრეზიდენტის გადაწყვეტილებას ამ საკითხთან დაკავშირებით, – აღნიშნა მდინარაძემ.

◆ ◆ ◆

ახალი პარლამენტის პირველ სხდომაზე მეტად ერს მთავრობის ახალი შემადგენლობა აინტერესებს.

სააგენტო 2030.ნიუსის ინფორმაციით, მთავრობის ადმინისტრაცია მინისტრთა კაბინეტის ახალ შემადგენლობას პარლამენტში 21 ნოემბერს გადააგზავნის.

ამასთან, მთავრობის ახალი შემადგენლობა უკვე გადაწყვეტილია. კერძოდ, არსებული ინფორმაციით, ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი შეცვლის; დიმიტრი ქუმსიშვილის ადგილს გიორგი გახარია დაიკავებს.

მთავრობის ახალ შემადგენლობაში არ იქნება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ნოდარ ჯავახიშვილი, რომელსაც სტრატეგიული პროექტების მართვისა და რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ზურაბ ალავიძე შეცვლის.

მთავრობის ახალ შემადგენლობაში იქნება თავისუფალი დემოკრატების ყოფილი წევრი ვიქტორ დოლიძე, რომელიც სახელმწიფო მინისტრ დავით ბაქრაძის თანამდებობას დაიკავებს.

დავით ბაქრაძე ამერიკაში ელჩად განაგრძობს მუშაობას.

ევროპის საბჭოში საქართველოსთვის 2016-2019 წლების სამოქმედო გეგმაზე იმსჯელეს

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის დავით ზალკალიანის სტრასბურში ვიზიტის ფარგლებში ევროპის საბჭოში გამართული შეხვედრების დროს განხილულ იქნა საქართველოსთვის 2016-2019 წლების ევროპის საბჭოს სამოქმედო გეგმა.

აღნიშნული დოკუმენტი შემუშავდა საქართველოს სახელმწიფო უწყებებსა და ევროპის საბჭოს შორის კონსულტაციების შედეგად.

დოკუმენტი მოიცავს ევროპის საბჭოს მიერ საქართველოში განსახორციელებელ პროექტებს, რომელთა მიზანია ქართულ მხარესთან თანამშრომლობა ადამიანის უფლებების დაცვის, დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის განმტკიცების მიმართულებებით.

დავით ზალკალიანმა და გენერალური მდივნის მოადგილემ გაბრიელა ბატაინი-დრაგონიმ ისაუბრეს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროექტების შესრულების მიმდინარეობაზე.

გენერალური მდივნის მოადგილემ ხაზგასმით აღნიშნა საქართველოს პროგრესი დემოკრატიული რეფორმების განხორციელების კუთხით და დადებითად შეაფასა საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები.

სამოქმედო გეგმის განხორციელებაში ჩართულმა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებმა და ევროპის საბჭოს პროექტების კოორდინატორებმა დეტალურად ისაუბრეს გეგმის მიხედვით გათვალისწინებულ პროექტებზე და იმედი გამოთქვეს, რომ ევროპის საბჭოს წევრი და დამკვირვებელი ქვეყნები მხარს დაუჭერენ აღნიშნული პროექტების განხორციელებას.

ვიზიტის ფარგლებში, ასევე გაიმართა საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის შეხვედრა ევროპის საბჭოს წევრი და დამკვირვებელი ქვეყნების დელეგაციებთან და ორგანიზაციის მაღალი თანამდებობის პირებთან.

შეხვედრის მონაწილეებს სხვა საკითხებთან ერთად მიეწოდა განახლებული ინფორმაცია საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა კუთხით არსებულ მდგომარეობაზე.

ნიუსპრესი

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

ბათუმში „ტრამპ თაუერის“ პროექტის გაგრძელება იგეგმება

ბათუმში „ტრამპ თაუერის“ პროექტი გაგრძელდება.

6-წლიანი კონსერვაციის შემდეგ „სილქ როუდ ჯგუფი“, რომელიც მაღალი კლასის საცხოვრებელი სახლის, „ტრამპ თაუერის“ მშენებლობის ლიცენზიის მფლობელია, ამბიციური პროექტის გაგრძელების გეგმაზე ალაპარაკდა.

რას უკავშირებს კომპანია მასშტაბური პროექტის განხორციელების შეჩერებას და რა გეგმები აქვს „ტრამპ თაუერთან“სამომავლოდ? ინტერპრესნიუსი „სილქ როუდ ჯგუფის“ უძრავი ქონების ხელმძღვანელ გიორგი მარის ესაუბრა.

– ბატონო გიორგი, ჰქონდა თუ არა „სილქ როუდ ჯგუფს“ კონტაქტი ტრამპის კორპორაციასთან მას შემდეგ, რაც აშშ-ში არჩევნები ჩატარდა?

– კომპანია „სილქ როუდ ჯგუფს“ ჰქონდა პატივი მიელოცა ტრამპის ორგანიზაციისთვის და მთელი მისი ოჯახისთვის არჩევნებში გამარჯვება. „სილქ როუდ ჯგუფი“ დარწმუნებულია, რომ ბატონი დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის პერიოდში აშშ და საქართველო კიდევ უფრო გააძლიერებენ ეკონომიკურ, საქმიან და კულტურულ ურთიერთობებს.

– როგორ გაჩნდა „ტრამპ თაუერის“ იდეა და რატომ შეფერხდა მისი განხორციელება?

– პროექტის იდეა დაიბადა 2010 წელს, ნიუ იორკში „სილქ როუდ ჯგუფის“ ნიუ იორკის ოფისის და ტრამპის ორგანიზაციის წარმომადგენლების შეხვედრის შემდეგ, რომლის შედეგად მხარეებმა მოილაპარაკეს ტრამპის ბრენდით ერთობლივი პროექტების განვითარებაზე საქართველოში. „ტრამპ თაუერის“ მშენებლობის ლიცენზია „სილქ როუდ ჯგუფს“ 2011 წლის მარტში, ნიუ იორკში, სალიცენზიო ხელშეკრულების საზეიმო ხელმოწერის შემდეგ გადაეცა. სალიცენზიო ხელშეკრულებას ტრამპის ორგანიზაციის მხრიდან პირადად ბატონმა დონალდ ტრამპმა მოაწერა ხელი, „სილქ როუდ ჯგუფის“ მხრიდან კი – კომპანიის დამფუძნებელმა გიორგი რამიშვილმა.

„ტრამპ თაუერს“-ბათუმის მშენებლობის განხორციელება „ბათუმი-რივიერას“ ტერიტორიაზე გადაწყდა. „ბათუმი-რივიერას“ გენერალური განვითარების გეგმა 2011 წელს დასრულდა. გეგმა გულისხმობს „სილქ როუდ ჯგუფის“ კუთვნილი 6 ჰექტარი მიწის ნაკვეთისა და მისი მიმდებარე 1,5 ჰექტარი მიწის ნაკვეთის განაშენიანებას, პლაჟების კეთილმოწყობას და მიმდებარე ნავსაყუდელის თანამედროვე სტანდარტების იახტ-კლუბად რეკონსტრუქციას. ბათუმი-რივიერას განვითარების გენერალური გეგმის ცენტრალური ნაწილია მაღალი კლასის საცხოვრებელი სახლის – „ტრამპ თაუერის“ აშენება.

2012 წლის აპრილში, „სილქ როუდ ჯგუფის“ ოფიციალური მოწვევით ბატონი ტრამპი იმყოფებოდა საქართველოში. ეს იყო უპრეცედენტო მხარდაჭერა „ტრამპ თაუერ ბათუმის“ პროექტისადმი დონალდ ტრამპის მხრიდან.

სამწუხაროდ, შემდეგ ეტაპზე „ტრამპ თაუერის“ პროექტის განხორციელება შეჩერდა, ერთი მხრივ იმიტომ, რომ ფასების ზრდა უძრავ ქონებაზე რეგიონში არ მიდიოდა სასურველი ტემპით და მეორე მხრივ იმიტომ, რომ „სილქ როუდ ჯგუფი“ წააწყდა მოულოდნელ წინააღმდეგობებს აჭარის იმდროინდელი მთავრობის მხრიდან – არ მოხდა პროექტით გათვალისწინებული პირობების შესრულება, მიუხედავად იმისა, რომ ეს დეტალები მთავრობის მიერ მოწონებული გენერალური გეგმის ნაწილი იყო და ამ კონფიგურაციით იყო წარდგენილი ინვესტორებთან როგორც ნიუ იორკში, ასევე ბათუმში. სწორედ ამ გაურკვევლობის გამო გადაიდო პროექტი.

– რა მომავალი აქვს ამ პროექტს და იგეგმება თუ არა მისი განხორციელება და რა სახით?

– როგორც ხედავთ, 6-წლიანი სტაბილური ურთიერთობები გვაქვს ტრამპის ორგანიზაციასთან. ჩვენ ერთად ვაკვირდებოდით სიტუაციას. უძრავი ქონების ბაზრის გაუმჯობესების ფონზე და ბოლო წლებში საქართველოში შექმნილი ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოდან გამომდინარე გვაქვს ოპტიმიზმის საფუძველი და ამიტომ ახლო მომავალში ვგეგმავთ ამ ამბიციური პროექტის გაგრძელებას.

სწორედ ეს განწყობა გვაძლევს საფუძველს, რომ თავდაპირველი ჩანაფიქრი განვახორციელოთ და „ტრამპ თაუერი“ ბათუმში ავაშენოთ. რასაკვირველია, წარმატებული თანამშრომლობა არის საწინდარი იმისა, რომ ვიმუშაოთ არაერთ სხვა იდეასა თუ პროექტზე ისეთ მნიშვნელოვან პარტნიორთან ერთად, როგორიც ტრამპ ორგანიზაციაა.



mgi BUSINESS SOLUTIONS WORLDWIDE

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ნიუ კრედიტ ოფისი”-ს მენეჯმენტს:

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ნიუ კრედიტ ოფისი”-ს თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს საბალანსო უწყისს 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგებისა და ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ორგანიზაციას შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

დასკვნა

ჩვენი აზრით წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ნიუ კრედიტ ოფისი”-ს ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

გიორგი ხმალაძე
პარტნიორი
26 სექტემბერი, 2016 წელი
თბილისი, საქართველო

შპს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ნიუ კრედიტ ოფისი”
ბალანსის უწყისი
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31-12-14	31-12-15
აქტივები			
ფული და ფულადი ეквივალენტები	6	1,117	33,270
გაცემული სესხები	7	492,614	696,731
წინასწარ გადახდილი გადასახადები	8	9,329	1,242
სხვა აქტივები		572	735
ჯამურად მიმდინარე აქტივები		**503,633**	**731,978**
გადავადებული საგადასახადო აქტივი	9	3,973	4,203
ძირითადი საშუალებები	10	1,726	1,016
სულ გრძელვადიან აქტივები		**5,699**	**5,219**
სულ აქტივები		**509,332**	**737,197**
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	189,985	332,488
სხვა ვალდებულებები	12	938	880
გადასახდელი გადასახადები		6,870	10,960
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**197,793**	**344,329**
სულ ვალდებულებები		**197,793**	**344,329**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		250,494	250,494
გაუნაწილებელი მოგება		61,045	142,374
სულ კაპიტალი		**311,539**	**392,868**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**509,332**	**737,197**

დირექტორი
ვაჟა ჭიღლიტაშვილი
26 სექტემბერი, 2016
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
მაია მათურელი
26 სექტემბერი, 2016
თბილისი, საქართველო

შპს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ნიუ კრედიტ ოფისი”
მოგება ზარალის უწყისი
2015 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	12 თვე, 2014 წ.	12 თვე, 2015 წ.
საპროცენტო შემოსავალი		125,852	175,962
საპროცენტო ხარჯი		(12,424)	(26,888)
წმინდა პროცენტული შემოსავალი		**113,428**	**149,073**
შემოსავალი ჯარიმებიდან		1,294	836
შემოსავალი საკომისიოებიდან		6,988	6,420
სხვა შემოსავალი		3,360	1,120
საოპერაციო შემოსავალი		**125,070**	**157,449**
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(100,647)	(113,279)
ცვეთის ხარჯი		(710)	(710)
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/ზარალი		20,530	87,515
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		**44,244**	**130,976**
მოგების გადასახადი	9	(6,640)	(19,646)
წმინდა მოგება		**37,604**	**111,329**

დირექტორი
ვაჟა ჭიღლიტაშვილი
26 სექტემბერი, 2016
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
მაია მათურელი
26 სექტემბერი, 2016
თბილისი, საქართველო

საქართველოში ამიერკავკასიაში უდიდესი ხორცპროდუქტების საწარმო აშენდება

სამთავრობო პროგრამის „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში, შპს „ლიდერფუდი“ წარმოების გაფართოებას შეძლებს და 2017 წლის მარტში ქართულ ბაზარს ახალი, ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი ხორცპროდუქტების მწარმოებელი საწარმო შეემატება.

როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან იუწყებიან, საწარმო, რომლის მშენებლობაც ამჟამად მიმდინარეობს, აღჭურვილი იქნება თანამედროვე საწარმოო დანადგარებით და მაღალტექნოლოგიური შიდა ლაბორატორიით, სადაც ყოველდღიურ რეჟიმში მოხდება პროდუქტის ხარისხის შემოწმება და განვითარება.

მათივე ინფორმაციით, კომპანია სურსათის უვნებლობის, მენეჯმენტის სისტემების შემუშავებასა და დანერგვას იწყებს.

კომპანიაში ამჟამად 400-მდე ადამიანია დასაქმებული. სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში დასაქმებულთა რიცხვი 700 ადამიანამდე გაიზრდება. საწარმო, რომელიც მცხეთაში ეკოლოგიურად სუფთა გარემოში შენდება, ქვეყნის რეგიონალურ განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

შპს „ლიდერფუდი“ პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერით, სარგებლობს, რაც იმას ნიშნავს, რომ პირველი 2 წლის განმავლობაში პროცენტის თანადაფინანსებას მეწარმეობის განვითარების სააგენტო განახორციელებს, ხოლო აღნიშნული პროექტის ინვესტიციის ჯამური მოცულობა 5 მილიონ დოლარს შეადგენს.

2014 წლის ივნისიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებენ პრემიერ-მინისტრის ინიციატივით შექმნილ ახალ სამთავრობო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“, რომლის მიზანია საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმე-სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა, ამასთანავე კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდა.

შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში ხდება ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გამარტივება, უძრავი ქონებით უზრუნველყოფა და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა.

ლარი გამყარდა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ლარის ახალი კურსი დაადგინა, რომლის მიხედვითაც, დღეს, 17 ნოემბერს, 1 ამერიკული დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.4926 ლარი იქნება.

აქამდე მოქმედი კურსით, დოლარი 2.4956 ლარი ღირდა. შესაბამისად, ლარი დოლართან 0.0030-ით გამყარდა.

ლარის კურსმა ევროსთან მიმართებაში 2.6686 ლარი შეადგინა.

აქამდე მოქმედი კურსით 1 ევროს ღირებულება 2.6933 ლარი იყო. შესაბამისად, ევროსთან ლარი 0.0247-ით გამყარდა.

„ნარკოტიკებით ვაჭრობას მფარველები ხელისუფლებაშიც ეყოლება“

გელა ნიკოლაიშვილი: „დღეს მოსწავლეებში ნარკოტიკის მოხმარება კარგ ტონად ითვლება“

ნონა ცაბაძე

ირღვევა თუ არა ადამიანის უფლებები ახალი ხელისუფლების პირობებში? რატომ გაიზარდა ქვეყანაში ნარკოტიკების მოხმარება? რამდენად საშიში ტენდენციები იკვეთება? ვინ „კრიშავს“ ფსიქოტროპული ნივთიერებების ბიზნესს აფთიაქებში? – „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს უფლებადამცველი გელა ნიკოლაიშვილი პასუხობს.

– ორიოდე დღის წინ, ქუთაისის აეროპორტში ახალგაზრდების ჯგუფი დააკავეს, რომლებიც ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას წარმოადგენდნენ. მოტივი იყო ის, რომ მათ ნარკოტიკული საშუალებები შემოჰქონდათ. თითოეულ მათგანს ტომოგრაფიაც კი გადაუღეს. მათ ნარკოტიკის კვალი არ აღმოაჩნდათ. ეს ადამიანები მათი უფლებების შელახვაზე საუბრობენ.

– ასეთი შემთხვევებიც არის ხოლმე, როდესაც პოლიცია, განსაკუთრებით ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებით, აკავებს ადამიანებს, ისინი ყოველთვის ხელმძღვანელობენ ოპერატიული ინფორმაციებით.

– ანუ ჰქონდათ ინფორმაცია და არ გამართლდა?

– რა თქმა უნდა. ძირითადად ეს ინფორმაციები მართლდება ხოლმე. მათი აგენტურა, ან მათთან მოთანამშრომლე ადამიანები წინასწარ აძლევენ ინფორმაციებს და ჩვენს პრაქტიკაში, რაც კი ნარკოტიკულ დანაშაულთან არის დაკავშირებული საქმეები, 99%-ს შემთხვევაში, ყველას აკავებენ კონკრეტული ინფორმაციით. არის გამონაკლისი ის 1%, როდესაც არ მართლდება და ამ შემთხვევაშიც სწორედ ასეთთან გვქონდა საქმე.

– ანუ ინფორმატორმა არასწორი ინფორმაცია მიაწოდა?

– ფაქტია, რომ რაღაც მოხდა, ან არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს, თორემ პოლიციას ინტერესი რომ ჰქონოდა ამ ადამიანების დაკავების, სამწუხაროდ, ასეც ხდება ხოლმე ჩვენს პრაქტიკაში, უბრალოდ, ჩაუდებდნენ. მერე იმის მტკიცება, ჩაუდეს თუ ნამდვილად ჰქონდათ, დამერწმუნეთ, პრაქტიკულად შეუძლებელია ხოლმე.

– ნარკოტიკების ჩადება ბოლო პერიოდში შეგხვედრიათ?

– ეს შემცირებულია, მაგრამ საბოლოოდ რომ აღმოფხვრილი იყოს, არა. 90-95% თუ რეალურია, შეიძლება ითქვას, რომ 5-10% გვაქვს ხოლმე ჩადებებიც. როცა ეს დაინტერესებული პირის მიმართ ხდება, თორემ ასე ქუჩაში, პოლიციისთვის სრულიად უცნობი და უინტერესო ადამიანის მიმართ, ბუნებრივია, არავინ დაგეგმავს ოპერაციას. ეს ძირითადად იმ პირების მიმართ ხდება, როდესაც იციან, რომ ამ ადამიანს ნამდვილად აქვს ჩადენილი დანაშაული და ვერ უმტკიცებენ, ამ დროს შედარებით ადვილია ჩადებით დაჭერა. შემდეგ მიდის ხოლმე ვაჭრობა, რომ თუ იმ დანაშაულს აღიარებ, აქ შეღავათს გაგიწევთ.

– იმატა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებამ, განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობაა თინეიჯერებში, რომლებიც ეტანებიან ფსიქოტროპულ ნარკოტიკებს და რომ ვიღაც „კრიშავს“ ამ ბიზნესს აფთიაქებში. რისი თქმა შეგიძლიათ ამის თაობაზე?

– სამწუხაროდ, ამაში დაგეთანხმებით და ვიტყოდი, რომ დიახ, ნარკოტიკების მოხმარება, სამწუხაროდ, უფრო მასობრივი გახდა და ამის ერთ-ერთი მიზეზი მე მაინც ის მგონია, რომ ძალიან ლიბერალური დამოკიდებულებაა ადამიანების ცნობიერებაში და მთელი ეს კამპანიები, რომ რა მოხდა, ნარკოტიკია, არავის არაფერს უშავებენ და ასე შემდეგ, ეს ყველაფერი ძალიან ცუდად აისახა ჩვენს საზოგადოებაზე.

– ანუ, ამ კუთხით ლიბერალურ დამოკიდებულებას არ იზიარებთ?

– აქ შეიძლება მართლაც იყოს საუბარი მსუბუქი ნარკოტიკის ლიბერალიზაციაზე, მარიხუანა და ექსტაზი სხვა არის, მაგრამ ჩვენს ახალგაზრდა თაობას, ჩვენს მოქალაქეებს ძალიან უჭირთ განსხვავება, ფიქრობენ, რა მნიშვნელობა აქვს, ისიც ნარკოტიკია და ისიც. თუ იმის მიმართ მიდგომა ასეთი ლიბერალურია, მაშინ ესეც არაფერია.

სამწუხაროდ, მასობრივ ცნობიერებაში ნელ-ნელა იწყება იმის დამკვიდრება, რომ ეს ჩვეულებრივი ამბავია, რომ დასავლეთში ლეგალიზებულია და ჩვენთანაც ასე უნდა იყოს. ამ დროს ძალიან ცოტა საუბრობს იმაზე, რომ დღეს ეს ჩვენთან სისხლის სამართლის დანაშაულია. ძალიან რთულია თვითონ სამართალდამცავი უწყებების მუშაობა ასეთ პირობებში.

– როგორ პირობებში?

– როდესაც საზოგადოებას ეს ჩვეულებრივ ფორმად მიაჩნია. კი ბატონო, მსუბუქი კატეგორიის ნარკოტიკის ლიბერალიზაციის მომხრე მეც ვარ და ამისთვის გამოიყოს კონკრეტული ადგილები, მაგრამ არც ერთ ქვეყანაში არ ხდება ის, რომ ნებისმიერი ნარკოტიკის მოხმარება, ნებისმიერ ადგილას დასაშვები იყოს და ის არ იყოს დასჯადი!

– ამ მიდგომებმა მოიტანა ის, რომ მომხმარებელთა რიცხვმა იმატა?

– დიახ. როგორც ადრე სიგარეტის მოწევა მოსწავლეებისთვის იყო რაღაცა „ვაჟკაცობის“ და „სვეტობის“ მაჩვენებელი, დღეს, სამწუხაროდ, მოსწავლეებში სიგარეტი ნარკოტიკმა ჩანაცვლა. დღეს მოსწავლეებში ნარკოტიკის მოხმარება ითვლება კარგ ტონად. ეს საგანგაშო ტენდენციაა. სტატისტიკა ამ თვალსაზრისით შემაშფოთებელია.

– რას იტყვით იმ აფთიაქების შესახებ, სადაც იყიდება ეს ფსიქოტროპული ნივთიერებები? იყო საუბარი ასეთი აფთიაქების დახურვაზე, მათთვის საქმიანობის აკრძალვაზე, რატომ ვერ ან არ განხორციელდა მსგავსი ქმედებები?

– აქ კი ხელისუფლების არაჯეროვან მოქმედებასა თუ უნიათობაზე და არათანმიმდევრულობაზე უნდა ვილაპარაკოთ. მეც მესმის და ყველა ჩვენგანს, რომ აი, ჩემი სახლის წინ, ამ აფთიაქში დაუბრკოლებლად იყიდება, რიგები დგას და ასე შემდეგ.

– ეს ინფორმაცია სამართალდამცავი ორგანოების ყურამდე არ მიდის?

– რა თქმა უნდა, მათ ყურამდეც მიდის და ხშირ შემთხვევაში ისინი იყენებენ ამას თავისი ოპერატიული მიზნებისთვის, ხშირად თვალს ხუჭავენ და ესეც ძალიან ცუდია. თუ არის ბრძოლა რაღაცა სენთან, უნდა იყოს პირდაპირი და მასობრივი ბრძოლა და არა ისე, რომ დღეს ვებრძვი და ხვალ არ ვებრძვი. არათანმიმდევრულობას იჩენს ჩვენი ხელისუფლება ამ სენთან ბრძოლაში.

– ინტერესიც ხომ არ იკვეთება?

– რა თქმა უნდა, იქნება. ნარკოტიკი, პროსტიტუცია და იარაღით ვაჭრობა არის სამი ისეთი სფერო, სადაც ყველაზე დიდი ფული კეთდება მთელ მსოფლიოში. ბუნებრივია, ჩვენთანაც ეყოლება მფარველები და ათასი ვიღაც ხელს ითბობს ამით. კონკრეტიკას ვერ დავიწყებ, მაგრამ მათ შორის იქნებიან ისეთი ადამიანებიც, რომლებსაც ხელისუფლების ბერკეტები უპყრიათ ხელთ და მათ ინტერესებშიც ეს ყველაფერი შედის.

ივანე ჩხარტიშვილის ბიზნესავანტიურას თიბისი ბანკი უზენაეს სასამართლოში დაუპირისპირდება

ივანე ჩხარტიშვილის მიერ სხვისი ქონების მითვისების კამპანიას თიბისი ბანკი უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრებს.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ ე.წ. „ბიზნესმენ“ ივანე ჩხარტიშვილს თიბისი ბანკთან აკავშირებს მრავალმილიონიანი სასესხო დავალიანება, რომლის მომსახურებაც არ ხდებოდა წლების განმავლობაში ჩხარტიშვილთან დაკავშირებული კომპანიების მიერ.

შესაბამისად 2010 წელს, კანონის სრული დაცვით, მოხდა დაგირავებული ქონების, ფოთის წისქვილქარხნის გასხვისება.

მოგვიანებით, 2015 წელს, ივანე ჩხარტიშვილმა წააგო დავა ბადრი პატარკაციშვილის ოჯახთან, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი რეპუტაციის მქონე ლონდონის სამეფო სასამართლოში, რომელმაც დაადგინა, რომ პატარკაციშვილის ქონება, მათ შორის ფოთის წისქვილქარხანა, ჩხარტიშვილს უკანონოდ ჰქონდა მითვისებული. ამონარიდი გადაწყვეტილებიდან, „ივანე ჩხარტიშვილმა გარდაცვლილი მეგობრის (ბადრი პატარკაციშვილის) ქონება არამართლზომიერად მიითვისა,“ ნათლად ავლენს ე.წ. „ბიზნესმენის“ არაკეთილსინდისიერებას.

საზოგადოებას კარგად ახსოვს ივანე ჩხარტიშვილის წარსული. ის არაერთხელ იქნა მხილებული არაეთიკურ ბიზნესსაქმიანობაში და სხვადასხვა ბიზნესსუბიექტს ედავება ქონების უკანონოდ ხელში ჩაგდების მიზნით.

ახლაც, ივანე ჩხარტიშვილი 90-იანი წლების მეთოდებით, ბიზნესეთიკისა და საკუთრების უფლების დარღვევით, ცდილობს, მიითვისოს სხვისი კუთვნილი ქონება და ამ ბიზნესავანტიურას ახორციელებს სამართლიანობის აღდგენის ეგიდით.

თიბისი ბანკი, რომელიც წარმოადგენს მსოფლიო სტანდარტებით მართულ ფინანსურ ინსტიტუტს და ივაჭრება ლონდონის საფონდო ბირჟის უმაღლეს სეგმენტში, არ დაუშვებს პოსტსაბჭოთა, შავ-ბნელი მეთოდებით ბიზნესის კეთების პრაქტიკას საქართველოში და არ აპირებს შერჩევითად მიუდგეს მსესხებლებს, მათი პოლიტიკური გავლენების მიუხედავად.

ადამიანი, რომელიც საკუთარ თავს უწოდებს „ბიზნესმენს“, სრულად უნდა იაზრებდეს სასესხო ვალდებულების მომსახურების პრინციპს, შესაბამისად უფლებას ვიტოვებთ, ეს პიროვნება ვცნოთ პროვოკატორად.

იმედი გვაქვს, სასამართლო ხელისუფლება დადგება მოწოდების სიმაღლეზე და მიიღებს კანონზე დაფუძნებულ სამართლიან გადაწყვეტილებას, ვინაიდან ჩხარტიშვილის ქმედებები ძირს უთხრის არა მხოლოდ ბიზნესის ეთიკურად კეთების პრინციპს, არამედ სამართლიანი სასამართლოს რეპუტაციას და ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ საყრდენს – საკუთრების ხელშეუხებლობას.

ამასთან, ივანე ჩხარტიშვილის მისამართით, განვმარტავთ, რომ არ ვაპირებთ ამ პოლემიკის განვრცობას. გვაქვს რა პასუხისმგებლობა ჩვენი მოქალაქეების მიმართ, ვალდებულებად ჩავთვალეთ საჯაროდ დაგვეფიქსირებინა ჩვენი პოზიცია.

თიბისი ბანკი მუდამ იდგება ქვეყანაში სამართლიანობის, ბიზნესეთიკის და საკუთრების უფლების სადარაჯოზე და შესაბამისად ამ ბიზნესავანტიურას წერტილს დაუსვამს მართლმსაჯულების უმაღლეს ინსტანციაში.

გირჩი მარიხუანას პირდაპირ ეთერში დარგავს

პროტესტი ხელისუფლების ნარკოპოლიტიკის მიმართ

NEW POLITICAL CENTER — ახალი პოლიტიკური ცენტრი

გუშინ, 16 ნოემბერს, აპც გირჩმა საგანგებო ბრიფინგი გამართა.

ახალი პოლიტიკური ცენტრის დამფუძნებელმა ზურაბ ჯაფარიძემ ქვეყანაში არსებული ნარკოპოლიტიკის შესახებ ისაუბრა და განაცხადა, რომ ხელისუფლება მანიპულირებს საზოგადოებრივი აზრით და საკუთარ მოქალაქეებს წნეხის ქვეშ ამყოფებს.

გირჩი ხელისუფლებას ნარკოპოლიტიკის შეცვლისკენ მოუწოდებს და ახალ წლამდე მარიხუანასთან დაკავშირებული ნივთიერებების მოხმარების და კულტივირების ლეგალიზებას მოითხოვს.

– მავნებლურმა კანონმდებლობამ გაუმწარა ცხოვრება 100 ათასობით მოქალაქეს და შეიწირა 2 მოქალაქის სიცოცხლე. ჩვენ მივმართავთ მომავალ პარლამენტს და მთავრობას და მოვითხოვთ, რომ ახალ წლამდე შეცვალოს ნარკოტიკებთან დაკავშირებული კანონმდებლობა და მარიხუანას და მასთან დაკავშირებული პროდუქტების მოხმარება გახდეს ლეგალური, ასევე კულტივირება და შენახვა პირადი მოხმარებისთვის იყოს სრულად ლეგალიზებული, – განაცხადა ზურაბ ჯაფარიძემ.

თუ ხელისუფლება საკანონმდებლო ცვლილებებს არ განახორციელებს, 2016 წლის 31 დეკემბერს 23:59 წუთზე გირჩის წევრები, გირჩის ოფისში პირდაპირ ეთერში დარგავენ მარიხუანას.

– ჩვენ გვესმის, რომ ამით დავარღვევთ სისხლის სამართლის კოდექსის 265-ე მუხლს, რაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას 6-დან 12 წლამდე. ჩვენ არ ვართ შეშლილები, მაგრამ ეს არის თავისუფლებისთვის ბრძოლის პოლიტიკური გზა, – განაცხადა ბ-მა ჯაფარიძემ.

გირჩის ინიციატივას უმრავლესობის დეპუტატი, გია ვოლსკი გუშინვე გამოეხმაურა.

ვოლსკის განცხადებით, გირჩის მხრიდან საზოგადოების დაბოლებას აქვს ადგილი.

– ვფიქრობ, რომ ასეთი განცხადებებით საზოგადოების დაბოლებას აქვს ადგილი. ამას კი ჩვენი შვილების და ეზოში მოთამაშე ბავშვების დაბოლება მოჰყვება, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

მოძრაობამ „თეთრი ხმაური“ კი პირიქით, გირჩის ინიციატივა მოიწონა.

როგორც ნიუპოსტს მოძრაობის ერთ-ერთმა აქტივისტმა დავით სუბელიანმა განუცხადა, მოძრაობა ჩამოყალიბდება, მიიღებს თუ არა მარიხუანის საჯაროდ დარგვის პროცესში მონაწილეობას.

– თემა ძალიან ახალია, ამიტომ ჩამოვყალიბდებით, მივიღებთ, თუ არა მონაწილეობას. რაც დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, არის ის, რომ ნარკოტიკებთან დაკავშირებული კანონმდებლობის შეცვლა აუცილებელია. მხარს ვუჭერთ გირჩის ამ ინიციატივას, თუმცა აქვე ვაცხადებთ, რომ ეს ინიციატივა სრულად არ პასუხობს იმ პრობლემებს, რაც საქართველოში გვაქვს. ყველა ნარკოტიკის მოხმარების დეკრიმინილიზაციაა აუცილებელი, როგორც პირველი ნაბიჯი, – აღნიშნა „თეთრი ხმაურის“ აქტივისტმა.

დღეს გირჩის ლიდერმა ზურაბ ჯაფარიძემ საგანგებო ბრიფინგზე, ახალ მთავრობას მიმართა, რომ ახალ წლამდე შეცვალოს ნარკოტიკებთან დაკავშირებული კანონმდებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გირჩის წევრები, სრულწლოვან მოხალისეებთან ერთად, 31 დეკემბრის დღის ბოლოს, საჯაროდ, პირდაპირ ეთერში მარიხუანას დარგავენ.

თბილისის აეროპორტში მოსკოვიდან ჩამოფრენილი კანონიერი ქურდი დააკავეს

შსს-მ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ე.წ. კანონიერი ქურდი დააკავა.

როგორც ინტერპრესნიუსს შსს-დან აცნობეს, 1974 წელს დაბადებული გ.ც. კანონიერი ქურდობის ბრალდებით ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დააკავეს.

გამოძიების ინფორმაციით, დადგინდა, რომ გ.ც. ე.წ. ქურდულ სამყაროში აღიარებულია „კანონიერ ქურდად“. სამართალდამცველებმა ბრალდებული თბილისის საერთაშორისო აეროპორტში იმ დროს დააკავეს, როდესაც მოსკოვი-თბილისის რეისით საქართველოში ჩამოფრინდა.

გ.ც. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში რუსეთის ფედერაციაში ცხოვრობდა.

გამოძიება კანონიერი ქურდობის ბრალდებით მიმდინარეობს.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

ბარაქ ობამა საბერძნეთში ჩავიდა

აშშ-ს პრეზიდენტი ბარაქ ობამა საბერძნეთში ჩავიდა. მან საბერძნეთის ხელმძღვანელობას განუცხადა, რომ აშშ ნატოსთან პარტნიორობის მომხრე იყო და ასეთად დარჩება.

– დონალდ ტრამპთან საუბარი უკვე მქონდა. მან განმიცხადა, რომ ნატო-აშშ-ს შორის პარტნიორობა არ შეიცვლება, – თქვა ობამამ.

ბერძენი ანარქისტები ობამას ვიზიტს საპროტესტო დემონსტრაციებით შეხვდნენ. პოლიციასა და ანარქისტებს შორის შეტაკება მოხდა. საკმაო შეხლა-შემოხლის შემდეგ მანიფესტაცია დაშალეს.

ტრამპი პოროშენკოს ესაუბრა

უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო ტელეფონით დონალდ ტრამპს დაუკავშირდა.

საუბარმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. ტრამპმა განაცხადა, რომ აშშ კვლავაც განიხილავს უკრაინას, როგორც სტრატეგიულ პარტნიორს და მხარს უჭერს მის ბრძოლას თავისუფლებისთვის.

– ჩვენ მხარს ვუჭერთ უკრაინელი ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის, – განაცხადა ტრამპმა.

პოროშენკომ თავისი ამერიკელი კოლეგა უკრაინაში მიიპატიჟა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ტრამპის ინაუგურაციის შემდეგ აშშ-ს ახლად არაჩეული პრეზიდენტი თავის უკრაინელ კოლეგას შეხვდება.

ულიუკაევი შინა პატიმრობაში გადაიყვანეს

მოსკოვის ბასმანის რაიონულმა სასამართლომ რუსეთის ეკონომიკური განვითარების მინისტრ ულიუკაევს შინა პატიმრობა მიუსაჯა.

როგორც ცნობილია, მას ბრალი ქრთამის აღებაში ედება.

– ულიუკაევის დაპატიმრება არავითარ საღ აზრში არ ჯდება, – განაცხადა რუსეთის პრემიერმა მედვედევმა.

ექსპერტი გლებ პავლოვსკი თვლის, რომ ულიუკაევის დაპატიმრება რუსეთის ხელისუფლების ზედა ეშელონებში კლანობრივი დაპირისპირების შედეგია.

– მზადდება ცვლილებები, რაც პუტინის ხელისუფლებას კიდევ უფრო გააძლიერებს, – თვლის პავლოვსკი.

ინგუშეთში ტერორისტების ჯგუფი დააკავეს

ინგუშეთში ტერორისტების ჯგუფი დააკავეს. მათ ჩამოერთვათ ტროტილი, ავტომატები, ხელყუმბარები.

ხსენებული ჯგუფი გეგმავდა ტერაქტებს როგორც ინგუშეთის, ასევე მთელი ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე.

რუსული წყაროების ინფორმაციით, ეს ჯგუფი ისლამურ სახელმწიფოსთან იყო დაკავშირებული. ტერორისტული საქმიანობის წარმართვა-დაფინანსებაც სირიიდან ხდებოდა.

ჯონ მაკეინი: ამერიკა მათთანაა, ვინც თავისუფლებისთვის იბრძვის!



სენატორმა მაკეინმა განაცხადა, რომ რუსეთთან ურთიერთობების გადატვირთვის მცდელობა ილუზიაა. ამას ჯერ კიდევ ბარაქ ობამა ცდილობდა, რაც მარცხით დამთავრდა.

– ობამას პოლიტიკის შედეგია ომი სირიაში და რუსეთის ინტერვენცია უკრაინაში, – განაცხადა მაკეინმა.

სენატორმა დონალდ ტრამპს მოუწოდა, რომ თავისი წინამორბედის გაკვეთილები გაითვალისწინოს. მაკეინმა ხაზი გაუსვა იმას, რომ პუტინმა სირიაში მორიგი სამხედრო ოპერაცია დაიწყო. რუსეთის პრეზიდენტი ანგარიშს არ უწევს იმას, რომ ამერიკაში ხელისუფლების გადაბარება მიმდინარეობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოსკოვს ვაშინგტონთან კავშირი არ სურს. პუტინის მიზანიც არა ისლამისტების განადგურება, არამედ ასადის გამარჯვებაა.

მაკეინმა ტრამპს მოუწოდა, თავისუფლებისთვის მებრძოლ სირიელ ხალხს დაეხმაროს.

– ამერიკა მუდამ მათ ეხმარებოდა, ვინც თავისუფლებისთვის იბრძოდა! – ამბობს მაკეინი

სირია: რუსებმა ახალი მასშტაბური ოპერაცია დაიწყეს



რუსმა სამხედროებმა სირიის ჰამსისა და იდლიბის პროვინციებში მასშტაბური სამხედრო ოპერაციები დაიწყეს. მათ ფრთოსანი რაკეტები დაუშინეს ისლამისტების პოზიციებს. პარალელურად ასადის მომხრე ფორმირებებმა გააქტიურეს მოქმედებები სირიის თავისუფალი არმიის წინააღმდეგ, რომელსაც მხარს აშშ უჭერს.

გაეროს წარმომადგენელმა დი მოსტურამ თქვა, რომ რუსეთი არა იმდენად ისლამისტების განადგურების, რამდენადაც ასადის გამარჯვებისთვის ირჯება. დი მოსტურამ განაცხადა, რომ ასადის გამარჯვება სიტუაციას კიდეც უფრო დაძაბავს.

– სირიაში დაიწყება პარტიზანული ომი. სისხლისღვრის მასშტაბები გაიზრდება. ასევე მოიმატებს მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობას შორის, – აცხადებს დი მოსტურა.

გაეროს წარმომადგენლის აზრით, მშვიდობის აღდგენისთვის აუცილებელია რუსეთ-აშშ-ს ერთობლივი მოქმედება. ამას წინ უნდა უსწრებდეს მოსკოვ-ვაშინგტონს შორის პოლიტიკური შეთანხმება, რასაც შემდგომში თავად სირიელ მიამბოხეებსა და სამთავრობო ძალებს შორის სამშვიდობო შეთანხმება მოჰყვება.

– როგორც ჩანს, პუტინს ეს არ სურს. მან არ ისურვა მოცდა, სანამ აშშ-ს ახალი პრეზიდენტი მუშაობას შეუდგებოდა და სამხედრო მოქმედებები გააქტიურა, – ამბობს დი მოსტურა.

რუსების გააქტიურების პარალელურად ასადის ავიაციამ განახორციელა დარტყმა ალეპოს იმ უბნებზე, რომელთაც პარტიზანები აკონტროლებენ.

ასადის არმია ალეპოს შტურმისთვის ემზადება

რუსეთი რომის სტატუტიდან გამოვიდა



РАСПОРЯЖЕНИЕ
ПРЕЗИДЕНТА РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ
О намерении Российской Федерации не стать участником Римского статута Международного уголовного суда
16:29
ბოლოდან
პუტინის გადაწყვეტილება

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა განკარგულებას რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შესახებ შეთანხმებიდან გამოსვლის თაობაზე.

– მიღებულ იქნას რუსეთის ფედერაციის იუსტიციის სამინისტროს წინადადება, რომ რუსეთი არ გახდეს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტის მონაწილე, – ნათქვამია განკარგულებაში.

განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაევალა შესაბამისი შეტყობინების გადაგზავნა გაერო-ს გენერალური მდივნისთვის.

რუსეთი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო რომის სტატუტს 2000 წელს შეუერთდა.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორი ფატუ ბენსუდა რუსეთის მიერ ყირიმის მიერთებას უკრაინასთან ომად და მისი ტერიტორიის ოკუპაციად მიიჩნევს. ამის შესახებ ნათქვამია ფატუ ბენსუდას ანგარიშში.

ანგარიშში დაზუსტებულია, რომ კონფლიქტი მოსკოვსა და კიევს შორის დაიწყო 2014 წლის 26 თებერვალს, როდესაც რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა კონტროლი დაამყარეს უკრაინის ტერიტორიებზე უკრაინის ხელისუფლების თანხმობის გარეშე. შესაბამისად, 2014 წლის 18 მარტიდან ყირიმი და სევასტოპოლი ოკუპაციის ქვეშ არის.

– სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტის შესაბამისად, სამხედრო კონფლიქტის საერთაშორისოდ აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო ახდენენ სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ოკუპირებას, – აღნიშნავს ფატუ ბენსუდა ანგარიშში.

მისი მონაცემებით, რუსეთის ხელისუფლება ოკუპირებული ყირიმის ტერიტორიაზე შემდეგ დანაშაულებს სჩადის: შეიარაღებული დაჯგუფების „ყირიმის თავდაცვის“ მიერ ჩადენილი მკვლელობები და გატაცებები; ყირიმელი თათრების დევნა, დაპატიმრება, ცემა და სექსუალური ძალადობის შემცველი მუქარები მათ მიმართ, ვინც არ აღიარა ყირიმის რუსეთთან მიერთების შესახებ რეფერენდუმი; იძულებითი გაწვევა სამხედრო სამსახურში.

პროკურორის თქმით, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გამომძიებლები აქტიურად სწავლობენ საკითხს, აკონტროლებს თუ არა რუსეთი შეიარაღებულ დაჯგუფებებს უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

თუ პასუხი დადებითი იქნება, მოვლენები უკრაინის ამ ნაწილში აღიარებული იქნება, როგორც შეიარაღებული კონფლიქტი რუსეთის მონაწილეობით.

გაეროს კომიტეტმა ყირიმის ოკუპაცია დაგმო

გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტმა ხმის აბსოლუტური უმრავლესობით მიიღო დადგენილება, სადაც ნათქვამია, რომ რუსეთის მიერ ყირიმის ოკუპაცია უკანონოა.

ამას მხარი კომიტეტის 73-მა წევრმა დაუჭირა.

მიმდინარე წლის დეკემბერში ყირიმის ოკუპაცია-ანექსიის საკითხი გაეროს გენერალურ ასამბლეაზე გავა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

საუკეთესო ტრადიციული ეფექტური სამკურნალო საშუალება მალამო „მენტორი პირველი“

ტრადიციული საუკეთესო საუკუნოვანი გამოცდილების მქონე ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ - დილას და საღამოს.

☎ 599-73-48-21.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

მომსახურება

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 250 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

მკურნალობა

● ნანა ქიბრიწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით .

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● უცხოეთში კვალიფიცირებული ექიმი-პედიატრი, გთავაზობთ სხვადასხვა სახის, ზოგადი პროფილის, ასევე ყველა ასაკის ბავშვთა მასაჟს. ვმუშაობ სხეულის კორექციაზეც ვაკუუმ-მასაჟის მეთოდით. მსურველებს, საჭირო კურსის ჩატარების შემდეგ, ექნებათ ლიპოსაქციის ეფექტი. 599 48-66-39.

ქართველმა წყალბურთელებმა რუსეთთან წააგეს

საქართველო-რუსეთი 13:14
(3:4, 2:2, 5:5, 3:3)

ოლიმპიკის საცურაო აუზზე საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა მსოფლიო ლიგის ევროპული ეტაპის პირველი შეხვედრა გამართა. იოვან პოპოვიჩის გაწვრთნილი გუნდი რუსეთის ნაკრებს დაუპირისპირდა და დაძაბულ ბრძოლაში 13:14 დამარცხდა.

ჩვენმა წყალბურთელებმა პირველი პერიოდი 3:4 დათმეს და ეს მონაკვეთი გადამწყვეტი აღმოჩნდა, რადგან დარჩენილი სამი პერიოდი ფრედ დასრულდა. ბოლო წუთები დრამატული გამოდგა, საქართველოს ნაკრებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლო, თუმცა სტუმრებმა ბოლო შეტევა გოლით დაასრულეს.

ჩვენი გუნდიდან საუკეთესო დამირ ცრეპულია იყო 4 გოლით, 3 ზურაბ რურუამ გაიტანა, 2-2 მარკო ელაჩამ და მიშა ბაღათურიამ, ხოლო ერთიც კოტე გეგელაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ლიგის ევროპული ეტაპის ც ჯგუფში თამაშობს, სადაც მეტოქეებად რუსეთი და იტალიის ნაკრები ჰყავს.

ილიას ზუროსი ბუდოჩნოსტს გაწვრთნის

საქართველოს საკალათბურთო ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ილიას ზუროსი მონტენეგროს საუკეთესო გუნდს ბუდუჩნოსტს გაწვრთნის.

პოდგორიცულმა გუნდმა ბერძენ სპეციალისტს კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლომდე გაუფორმა, რაც იმას ნიშნავს, რომ ზუროსს კლუბში მუშაობა მაქსიმუმ მაისის ბოლომდე მოუწიოს, რის შემდეგაც საქართველოს ნაკრების შეკრების დაწყებამდე მთელი თვენახევარია.

ზუროსით მონტენეგროელები მას შემდეგ დაინტერესდნენ, რაც ლეგენდარული ყოფილი კალათბურთელი, ვლადო შჩეპანოვიჩი პოსტიდან გადადგა. ბუდუჩნოსტს ევროთასზე 4-დან 4 წაგება აქვს, ადრიატიკის ლიგაზე კი 8 მატჩში დაუმარცხებელი იყო და პირველი წაგება ტურნირის აუტსაიდერთან – მაკედონიურ კარპოს სოკოლთან იწვნია, რის შემდეგაც პოდგორიცელთა მთავარი მწვრთნელი თანამდებობიდან გადადგა.

ჩემპიონი დეკემბერში გამოვლინდება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო განყოფილებამ ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის საპლეიოფო თარიღები დაამტკიცა.

2016 წლის უმაღლესი ლიგის გარდამავალი ჩემპიონატის გამარჯვებული გამოვლინდება ფინალურ მატჩებში, რომელშიც ერთმანეთს წითელი და თეთრი ჯგუფების პირველადგილოსნები შეხვდებიან.

ეს გუნდები უკვე ცნობილია – სამტრედია და საჩხერის ჩიხურა. მატჩები 3 და 11 დეკემბერს ჩატარდება.

ორივე ჯგუფის მე-2-3 ადგილზე გასული გუნდები ორ ნახევარფინალურ მატჩში, 30 ნოემბერსა და 4 დეკემბერს, გაარკვევენ ბრინჯაოს მცირე ფინალის მონაწილეებს, რომლებიც საპრიზო ადგილს ერთმატჩიან დაპირისპირებაში გაითამაშებენ. ეს შეხვედრა ნეიტრალურ მოედანზე 10 დეკემბერს გაიმართება.

პლეი აუტში ორივე ჯგუფის მე-5-6 ადგილზე გასული გუნდები დაწყვილდებიან. შეხვედრები შინ და სტუმრად პრინციპით 1-ელ და 6 დეკემბერს ჩატარდება. დამარცხებული ორი კლუბი, ორივე ჯგუფის მეშვიდეადგილოსნებთან ერთად მომავალი სეზონიდან რანგით დაბალ ლიგაში ითამაშებენ.

პირველი ლიგის პლეი ოფის პირველი ეტაპის ორი მატჩი 28 ნოემბერს და 2 დეკემბერს ჩატარდება. მეორე ეტაპზე კი გუნდები ერთმანეთს 5 და 9 დეკემბერს შეხვდებიან.

გეტყვით იმასაც, რომ საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის ფინალი ზესტაფონში, დავით აბაშიძის სახელობის სტადიონზე, 22

ნოემბერს, 19:00-ზე გაიმართება.

ტიტულისთვის ერთმანეთს ქუთაისის ტორპედო და პირველლიგელი მარტვილის მერანი დაუპირისპირდებიან.

არგენტინის ბოიკოტი პრესას

არგენტინის ნაკრებმა 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრაში კოლუმბიას უმასპინძლა და 3:0 დაამარცხა. მატჩის შემდეგ ეროვნულმა ნაკრებმა მედიას ბოიკოტი გამოუცხადა. როგორც გუნდის კაპიტანმა, ლიონელ მესიმ აღნიშნა, არგენტინელები პრესასთან კომუნიკაციას წყვეტენ.

კოლუმბიასთან მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებთან ნაკრების ყველა ფეხბურთელი გამოცხადდა, მათი სათქმელი კი გუნდის კაპიტანმა გაახმოვანა.

ლეო მესი:

– ყველა იმიტომ მოვედით, რომ გაგაცნოთ ჩვენი გადაწყვეტილება. ჩვენ აღარ ვაპირებთ პრესასთან კომუნიკაციას. აღბათ ყველა ხვდები რატომ... ჩვენ ძალიან ბევრი შეურაცხყოფა და ბრალდება მივიღეთ, რაზეც არასდროს არაფერი გვითქვამს. თუმცა ბოლო ბრალდება ეზეკიელ ლავეზის მიმართ ძალიან სერიოზულია. თუ ამაზე თვალს დავხუჭავთ, ხალხი დაიჯერებს იმას, რასაც გაიგებს. ვწუხვართ, რომ ამ გზით წასვლა მოგვიწია, თუმცა სხვა გზა არ არის.

საქართველო იაპონიასთან დანაკლისს სამოასთან ეცდება

რაგბის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა. საქართველოს მორაგბეთა ნაკრები იაპონიასთან მარცხის შემდეგ რეიტინგში ერთი საფეხურით დაქვეითდა და ახლა მე-12 ადგილს იკავებს.

„ბორჯღალოსნებმა“ შანსი ვერ გამოიყენეს – იაპონიის ნაკრების დამარცხების შემთხვევაში ეროვნული გუნდი პირველად შევიდოდა რეიტინგის ტოპ-ათეულში. ქართველი მორაგბეები დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდნენ და მე-11 ადგილი სწორედ იაპონელებს დაუთმეს.

რეიტინგს 94.57 ქულით კვლავ ახალი ზელანდია ლიდერობს, მეორე ადგილზე ინგლისი (89.84) იმყოფება. საქართველოს ნაკრებს კი 73.78 ქულა აქვს და იტალიის ნაკრებს მცირე უპირატესობით უსწრებს.

დანაკლისის აღმოფხვრას ჩვენი ნაკრები 19 ნოემბერს შეეცდება, რო-

დესაც ბორჯღალოსნები შემოდგომის ტესტ-სერიის მეორე შეხვედრას გამართავენ. ესაა წლის ბოლო საშინაო მატჩი და სტუმარი სამოას ძლიერი გუნდი იქნება.

შედეგები

15 ნოემბერი

ფეხბურთი

მრ-2018. შესახჩევი ეტაპი

ჯგუფი A

ჰონდურასი-ტრინიდადი	3:1
კოსტა რიკა-აშშ	4:0
პანამა-მექსიკა	0:0

ს.ამერიკა

ბოლივია-პარაგვაი	1:0
ეკვადორი-ვენესუელა	3:0
არგენტინა-კოლუმბია	3:0
ჩილე-ურუგვაი	3:1
პერუ-ბრაზილია	0:2

აზია

იაპონია-ს.არაბეთი	2:1
კორეა-უზბეკეთი	2:1
ჩინეთი-ყატარი	0:0
ტაილანდი-ავსტრალია	2:2
სირია-ირანი	0:0
ემირატები-ერაყი	2:0

ამხანაგური მატჩები

კენია-ლიბერია	1:0
გაბონი-კომორი	1:1
ტუნისი-მავრიტანია	0:0
ბაჰრეინი-ყირგიზეთი	0:0
იორდანია-ლიბანი	0:0
რუსეთი-რუმინეთი	1:0
მოზამბიკი-ს.აფრიკა	1:1

მალტა-ისლანდია	0:2
უნგრეთი-შვედეთი	0:2
უკრაინა-სერბეთი	2:0
ჩეხეთი-დანია	1:1
ავსტრია-სლოვაკეთი	0:0
იტალია-გერმანია	0:0
ინგლისი-ესპანეთი	2:2
მაროკო-ტოგო	2:1
ჩრ.ირლანდია-ხორვატია	0:3
საფრანგეთი-კოტ დივუარი	0:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ტოტენჰემს სტარიჯის ყიდვა სურს

ლონდონის ტოტენჰემმა ლივერპულის ფორვარდ დანიელ სტარიჯს დაადგა თვალი. ლონდონელებს სტარიჯის შეძენა ზაფხულშიც სურდათ, მაგრამ მათ სატრანსფერო ფასი არ მოეწონათ, რომელიც 40 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენს.

სტარიჯი უკმაყოფილოა თავი-

სი მდგომარეობით ლივერპულში, რადგან იურგენ კლოპი მას ბოლომდე არ ენდობა და სტარიჯი არცთუ ხშირად ხვდება ლივერპულის ძირითად შემადგენლობაში.

ამის გამო მისი ლივერპულიდან წასვლაზე ალაპარაკდნენ. ყველაზე რეალური ვარიანტი ტოტენჰემია, რომელიც ბოლო წლებში სტაბილურად კარგი თამაშით გამოირჩევა.

რეალი დავიდ დე ხეას არ ივიწყებს

მადრიდის რეალმა ვერა და ვერ მოახერხა მანჩესტერ იუნაიტედის ესპანელი გოლკიპერის, დავიდ დე ხეას გადაბირება, მაგრამ მადრიდელები დე ხეას არ ივიწყებენ და მზად არიან, მის ტრანსფერში 52 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადონ. მანჩესტერ იუნაიტედს ესპანელი გოლკიპერის გაყიდვა არ სურს, ამიტომ რეალს ამ ტრანსფერის განხორციელება გაუჭირდება.

ჟოზე მოურინიომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ დე ხეა მისი გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ის არ იყიდება. მიუხედავად ამისა, ეჭვს არ იწვევს ის, რომ რეალი იოლად არ დანებდება და დე ხეას გადასაბირებლად ყველაფერს გააკეთებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

შვაინშტაიგერი მანჩესტერ იუნაიტედიდან წასვლას ცდილობს

ბასტიან შვაინშტაიგერმა მანჩესტერ იუნაიტედში თავისი კარიერა ვერ აიწყო, ამიტომ ის ყველანაირად ცდილობს, ინგლისური გუნდი დატოვოს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შვაინშტაიგერი ამერიკის შეერთებულ შტატებში აპირებს კარიერის გაგრძელებას და ის ერთ-ერთი გუნდის წარმომადგენელსაც შეხვდა.

ჟოზე მოურინიომ ბასტიანი მან-

ჩესტერ იუნაიტედის მეორე გუნდში გადაიყვანა, რითიც მას ნიშანი მისცა, რომ მისი იმედი არა აქვს. ამ გარემოებების გამო შვაინშტაიგერმა ინგლისი შესაძლოა იანვარშივე დატოვოს.

შვაინშტაიგერი ამჟამად 32 წლის არის და ჯერჯერობით კარიერის დასრულებაზე არ ფიქრობს.

მესიმ კრიტიკოსებს ლამაზი გოლით უპასუხა

ლიონელ მესის და არგენტინის ნაკრებს ბოლო პერიოდში ხშირად აკრიტიკებდნენ. კრიტიკა გამძაფრდა ბრაზილიასთან 0:3 განცდილი მარცხის შემდეგ, როდესაც ვერც მესიმ და ვერც მისმა თანაგუნდელებმა ბრაზილიელების წინააღმდეგ ვერაფერი გააწყვეს.



როგორც ჩანს, კრიტიკამ არგენტინის ნაკრებზე კარგად იმოქმედა და მან საკუთარ მოედანზე კოლუმბიის ნაკრები გაანადგურა 3:0.

მესიმ შეხვედრაში ანგარიში ძალიან ლამაზი საჯარიმო დარტყმით გახსნა, რასაც ლუკას პრატოს და ანხელ დი მარიას გოლები მოჰყვა, რომლებშიც მესიმ უშუალო მონაწილეობა მიიღო.

მიუხედავად ამ გამარჯვებისა, არგენტინის ნაკრები სატურნირო ცხრილში ჯერჯერობით მხოლოდ მეხუთე პოზიციას იკავებს.

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

რა არის კონიუქტივიტი?

ეკა ირემაშვილი

თვალის დაავადებებიდან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული კონიუქტივიტია. ეს არის თვალის ლორწოვანი გარსის ანთებითი პროცესი. დაავადება ძალიან გავრცელებულია და წარმოადგენს თვალის პათოლოგიების 30%-ს. დაავადების განვითარება დამოკიდებულია საცხოვრებელ გეოგრაფიულ ზონასა და სეზონზე.

გამოიყოფა კონიუქტივიტის შემდეგი სახეობები: ალერგიული, ბაქტერიული, მწვავე, კოხ-უიქსის და ქრონიკული.

როგორც მედიკოსები აცხადებენ, კონიუქტივიტის გამომწვევი ძირითადი მიზეზები შეიძლება იყოს ვირუსები, ბაქტერიები, ალერგენები და ქიმიური ნივთიერებები.

კონიუქტივიტს ახასიათებს თვალის ტკივილი, ქავილი, ქუთუთოების შესიება, ცრემლდენა, ქუთუთოს სპაზმი ბავშვებში, თვალიდან გამონადენი, თვალის სიმშრალე, ქავილი, ჩირქოვანი გამონადენი თვალებიდან, რქოვანას წყლული, სისხლიანი გამონადენი თვალებიდან, კონიუქტივიტის შეშუპება და სისხლჩაქცევები.

დაავადების სამკურნალოდ ექიმი-ოფთალმოლოგი ნიშნავს კონიუქტივიტის ნაცხის ბაქტერიოლოგიურ ან ციტოლოგიურ ანალიზს. დაავადების მკურნალობა ბავშვებსა და დიდებში მოიცავს ანტიჰისტამინურ პრეპარატებს, თვალის წვეთებს ან ანტიბიოტიკების შემცველ თვალის მალამოებს, სტეროიდების შემცველ წვეთებს და ინტერფერონის შემცველ პრეპარატებს.

კონიუქტივიტით დაავადების მკურნალობის არარსებობის შემთხვევაში განვითარდება მხედველობის დაქვეითება, კერატიტი ანუ თვალის რქოვანას ანთება და მხედველობის სრულად დაკარგვა.

პროფილაქტიკის მიზნით ექიმები გვირჩევენ თვალის ჰიგიენის დაცვას და სავარაუდო ალერგენებთან კონტაქტისგან თავის შეკავებას.

უფრო დეტალურად კონიუქტივიტის შესახებ ოფთალმოლოგი ქეთევან გოგიშვილი გვესაუბრება:

– კონიუქტივიტი, ეს არის თვალის ლორწოვანი გარსის – კონიუქტივას ანთება. კონიუქტივა ამოფენს ქუთუთოების შიგნითა გარსს. ასევე ფარავს თვალის თეთრ ნაწილს – სკლერას.

– რამ შეიძლება გამოიწვიოს კონიუქტივიტი?

– კონიუქტივიტის გამომწვევი მიზეზებია ბაქტერიები, ვირუსები, სოკოვანი ინფექცია, ალერგენები. ბავშვებში – საცრემლე არხის დახშობა, უცხო სხეულის მოხვედრა თვალში, ქიმიური ნივთიერებები.

კონიუქტივიტი იყოფა ბაქტერიულ, ვირუსულ, ალერგიულ კონიუქტივიტებად. ასევე გამოყოფენ გაღიზიანებით გამოწვეულ კონიუქტივიტს და შერეულ კონიუქტივიტს. მაგალითად, როდესაც ვირუსული ანთებაა და მეორადად თვალში ბაქტერიული ინფექცია მოხვდა, ვითარდება ვირუსულ-ბაქტერიული კონიუქტივიტი.

– რა იწვევს ბაქტერიულ კონიუქტივიტს?

ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის “გარემოს დაცვის შესახებ„, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ„, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ„ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი.

ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვემო ალვანის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ალაზნის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 20 000 მ3).

7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა.

ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვემო ალვანის მიმდებარე ტერიტორია

8. აუქციონის საწყისი ფასი.

3 251ლარი

9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %).

325,1ლარი

10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი.

1 826 ლარი

11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 18 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 17 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 17 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 17 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა.

2 წელი

14. სხვა მონაცემები.

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი №11

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

1. საიდენტიფიკაციო ნომერი.

204 559 691

2. მისამართი/ტელეფონი.

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

3. ელ–ფოსტა.

Licenziebi2015@gmail.com

4. სარგებლობის ლიცენზიის სახე.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის.

ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ„ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მოპოვებითი სამუშაოები აწარმოოს შპს ,,საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია„-სთან წინასწარ შეთანხმებული პროექტის საფუძველზე.

დ) სამუშაოების პროექტთან ერთად ლიცენზიანტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ექსპერტის (ჰიდროლოგი) დასკვნა, სადაც დასაბუთებული იქნება, რომ მდინარის კალაპოტში ინერტული მასალის მოპოვება არ შექმნის წინაპირობას მაგისტრალური გაზსადენის სიახლოვეს განვითარდეს მდინარის როგორც სიღრმითი, ასევე გვერდითი (ნაპირების) ეროზიული პროცესები, რითაც საფრთხე შეექმნება მილსადენების უსაფრთხო ფუნქციონირებას.

ე) თუ მოპოვებითი სამუშაოები საფრთხეს შეუქმნის მაგისტრალურ გაზსადენს, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაუყონებლივ შეწყვიტოს სამუშაოები და აანაზღაუროს მიყენებული ზარალი.

ვ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის “გარემოს დაცვის შესახებ„, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ„, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ„ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი.

ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვეძების მიმდებარე ტერიტორია, მდ. ხევგრძელის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 65 100 მ3).

7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა.

ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვეძების მიმდებარე ტერიტორია

8. აუქციონის საწყისი ფასი.

9 293 ლარი

9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %).

929,3 ლარი

10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი.

4 847 ლარი

11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 18 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 17 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 17 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 17 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა.

4 წელი

14. სხვა მონაცემები.

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი №12

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

1. საიდენტიფიკაციო ნომერი.

204 559 691

2. მისამართი/ტელეფონი.

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57

ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

3. ელ–ფოსტა.

Licenziebi2015@gmail.com

4. სარგებლობის ლიცენზიის სახე.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის.

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ„, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ„ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი.

ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბირკიანის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ალაზანზე „ბირკიანი„-ის დიაბაზის (ლოდნარის ზედაპირული აკრეფვა) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად) - 11 340 მ3).

7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა.

ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბირკიანის მიმდებარე ტერიტორია

8. აუქციონის საწყისი ფასი.

10 000 ლარი

9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %).

1 000 ლარი

10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (80%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი.

8 200 ლარი

11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 18 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 17 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 17 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 17 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა.

5 წელი

14. სხვა მონაცემები.

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი №13

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

1. საიდენტიფიკაციო ნომერი.
204 559 691

2. მისამართი/ტელეფონი.
ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57
ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

3. ელ–ფოსტა.
Licenziebi2015@gmail.com

4. სარგებლობის ლიცენზიის სახე.
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის.

ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;

ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;

ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება.

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი.

მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. შაუმიანის მიმდებარე ტერიტორიაზე, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 730 000 მ3/წელიწადში.

7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა.

მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. შაუმიანის მიმდებარე ტერიტორია

8. აუქციონის საწყისი ფასი.
10 000 ლარი

9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %).
1 000 ლარი

10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი.
5 200 ლარი

11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.
აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 18 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 17 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.
ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 17 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 17 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა.
25 წელი

14. სხვა მონაცემები.
აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი №14

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

1. საიდენტიფიკაციო ნომერი.
204 559 691

2. მისამართი/ტელეფონი.
ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57
ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

3. ელ–ფოსტა.
Licenziebi2015@gmail.com

4. სარგებლობის ლიცენზიის სახე.
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის.

ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;

ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;

ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება.

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);

თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი.

ქ. ვანის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 730 მ3/წელიწადში).

7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა.

ქ. ვანის ტერიტორია

8. აუქციონის საწყისი ფასი.
24 ლარი

9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %).
2,4 ლარი

10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი.
212 ლარი

11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.
აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 18 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 17 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.
ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 17 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 17 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა.
25 წელი

14. სხვა მონაცემები.
აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი №15

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

1. საიდენტიფიკაციო ნომერი.
204 559 691

2. მისამართი/ტელეფონი.
ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57
ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

3. ელ–ფოსტა.
Licenziebi2015@gmail.com

4. სარგებლობის ლიცენზიის სახე.
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის.

ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;

ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;

ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწესრიგება;

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი.

ქალაქი გორი, პუშკინის ქუჩა №1ა, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 2 555 მ3/წელიწადში).

7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა.

ქალაქი გორი, პუშკინის ქუჩა №1ა

8. აუქციონის საწყისი ფასი.
83 ლარი

9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %).
8,3 ლარი

10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი.
242 ლარი

11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.
აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 18 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 17 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.
ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 17 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 17 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა.
25 წელი

14. სხვა მონაცემები.
აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

თამარ მეფე მსოფლიოს ყველაზე ცნობილ 100 ქალს შორის დაასახელეს

საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ქალი მეფე – თამარი მსოფლიოს ყველაზე ცნობილ 100 ქალს შორის დასახელდა.

ქართველი მეფე იმ ენციკლოპედიურ წიგნში მოხვდა, რომელიც მინსკში დაიბეჭდა და მსოფლიოს ყველა დროის და ქვეყნის 100 ქალი გააერთიანა.

ენციკლოპედიაში საპატიო ადგილი უკავიათ მსახიობ, პოლიტიკოს, მომღერალ, პოეტ, მეცნიერ, მონარქ ქალებს.

„ერისიონი“ უკრაინასა და მოლდავეთში მიიწვიეს

ქართული ხალხური მუსიკისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „ერისიონი“ უკრაინასა და მოლდავეთში მიიწვიეს.

ანსამბლის კონცერტები სხვადასხვა ქალაქებში დაიგეგმა. „ერისიონი“ უცხოელი მაყურებლის წინაშე განახლებული შოუ-პროგრამით წარდგება.

ანსამბლი საერთაშორისო ტურნეში ცნობილი საპროდიუსერო კომპანიების მიწვევით გაემგზავრა. კონცერტები უკრაინისა და მოლდავეთის დიდ ქალაქებში გაიმართება.

ლევან წულაძე საბერძნეთში დააჯილდოვეს

რეჟისორი ლევან წულაძე საბერძნეთში დააჯილდოვეს.

მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი საბერძნეთში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ათინორამას პრემიაზე იყო წარდგენილი, რომელსაც 40-წლიანი ისტორია აქვს.

მის მიერ ათენში, ანესის თეატრში დადგმული სპექტაკლი „დანაშაული და სასჯელი“ 5 ნომინაციაში იყო წარდგენილი.

5 ნომინაციიდან ათინორამას პრესტიჟული პრემია ქართველი რეჟისორის ნამუშევარმა 3 ნომინაციაში დაიმსახურა. ნომინაციაში საუკეთესო რეჟისორი მეორე ადგილი ლევან წულაძემ დაიკავა სპექტაკლისათვის „დანაშაული და სასჯელი“, ნომინაციაში საუკეთესო მსახიობი მამაკაცი ტასოს იორდანიდისი მესამე ადგილზე გავიდა ამავე სპექტაკლში შესრულებული როლისთვის, ხოლო ნომინაციაში საუკეთესო სცენოგრაფია სტავროსი მეორე ადგილის მფლობელი გახდა „დანაშაული და სასჯელის“ ორიგინალური და საინტერესო სცენოგრაფიისთვის.

თბილისი წიგნის დღეებს მასპინძლობს

17 ნოემბერს „ექსპო ჯორჯიას“ მე-11 პავილიონში საბავშვო წიგნის ილუსტრაციისა და წიგნის ხელოვნების მე-3 საერთაშორისო ფესტივალი „თბილისის წიგნის დღეები“ გაიხსნება.

17-20 ნოემბერს კულტურის სამინისტროს, ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის, წიგნის ხელოვნების ცენტრისა და ექსპო ჯორჯიას ორგანიზებით, ექსპო ჯორჯიას მე-4, მე-5, მე-6 და მე-11 პავილიონები „თბილისის წიგნის დღეებს“ უმასპინძლებს.

ტრადიციულ წიგნის ბაზრობასთან ერთად, მეოთხე და მეხუთე პავილიონებში ილუსტრაციის, სურათებიანი წიგნისა და ფოტო-არტ წიგნის საერთაშორისო გამოფენები მოეწყობა.

წიგნის დღეების ფარგლებში ჩატარდება ორი ყველაზე პრესტიჟული კონკურსის გამოფენა „ბოლონიის ილუსტრატორთა გამოფენა“ და „ნამის კუნძულის საერთაშორისო გამოფენა“, სადაც წარმოდგენილი იქნება ბოლონიის საბავშვო წიგნის პრემიისთვის შერჩეული საუკეთესო წიგნებიც.

„თბილისის წიგნის დღეები“ ასევე მასპინძლობს „ქართული ხალხური ზღაპრის ილუსტრაციის გამოფენას“, თითოეული ნამუშევარი „ქართული ზღაპრის ანთოლოგიაში“ შევა და მას წამყვანი შვეიცარული გამომცემლობა წიგნის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით გერმანულენოვანი ბაზრისთვის 2017 წელს გამოსცემს.

ფესტივალის ფარგლებში, დამთვალიერებელი წელს დაარსებული, უკრაინულ-ქართული ფოტოწიგნის კონკურსის ნამუშევრებსაც იხილავს, ასევე არტ წიგნების გამოფენას ბულგარეთიდან და უკრაინიდან.

წლევანდელ გამოფენაზე 50-მდე მონაწილე იქნება წარმოდგენილი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქალეიდოსკოპი

მიშელ ობამამ ვოგისთვის ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა

აშშ-ს პირველმა ლედიმ მიშელ ობამამ ჟურნალ ვოგის გარეკანისთვის სურათი გადაიღო. ფოტოსურათი სოციალურ ქსელ ინსტაგრამში გამოცემის გვერდზეა განთავსებული.

კადრი ობამას ფოტოსესიიდან ჟურნალის დეკემბრის ნომრის მთავარ გვერდზე იქნა განთავსებული. სურათის ავტორია ფოტოგრაფი ენი ლეიბოვიცი. ეს ჟურნალის ამერიკული ვერსიისთვის მესამე გადაღება იყო აშშ-ს პირველი ლედისთვის.

მიმდინარე თვის დასაწყისში კი ცნობილი გახდა, რომ სოციალური ქსელების მომხმარებლებმა მიშელ ობამას მოუწოდეს, კენჭი იყაროს აშშ-ს 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, თუმცა თავად პირველმა ლედიმ არაერთხელ განაცხადა, რომ არ აპირებს სახელმწიფო თანამდებობის დაკავებას.

ფოტოსურათმა 326 ათასზე მეტი მოწონება მიიღო.

პილოტმა მგზავრებს პოლიტიკაზე კამათი აუკრძალა

იმ დროს, როდესაც ავიაკომპანია იუნაიტედ ეირლეინის თვითმფრინავი ახორციელებდა რეისს სანფრანცისკო (აშშ) პუერტო-ვალიარტა (მექსიკა) პილოტმა მგზავრებს მიმართა მოთხოვნით, რომ მათ პოლიტიკაზე კამათი შეწყვიტათ. მომხდარის ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთმა ინტერნეტ-მომხმარებელმა იუტუბიზე გამოაქვეყნა და რომელიც ორ დღეში 80 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.

პილოტმა განაცხადა, რომ ის პატივს სცემს ყველა თვალსაზრისს აშშ-ს პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებით გამოთქმულს. ამასთან, მან მგზავრებს მოუწოდა, თავი შეიკავონ თვითმფრინავის სალონში კამათისგან და საკუთარი აზრი თავისთვის შეინახონ. მგზავრების ნაწილი პილოტის მიმართვას აპლოდისმენტებით შეხვდა.

ვიდეოჩანაწერისთვის თანდართულ კომენტარში ნათქვამია, რომ თვითმფრინავში კამათი და უწესრიგობა მას შემდეგ დაიწყო, როდესაც ერთ-ერთმა მგზავრმა თავს უფლება მისცა რასისტული გამოთქმა ეხმარა შავკანიანი მგზავრი ქალის მისამართით.

ნინძას კოსტუმით ქურდმა სათამაშო ხმალი მოიპარა

ქურდმა, რომელიც ნინძას კოსტუმში იყო გამოწყობილი, ამერიკის ალიასკას შტატის ქალაქ ანკორიჯში კომიქსებისა და მაგიდის სათამაშოების მაღაზია გაქურდა.

ქურდობა შაბათ ღამეს მოხდა. უცნობმა პირმა დაკეტილ მაღაზიაში შეაღწია, შემოიარა სავაჭრო დარბაზები და დამხმარე სათავსოები, დახლიდან სათამაშო სამურაის ხმალი აიღო და გაიქცა.

ბილ კლინტონი და ჰილარი ერთმანეთს შორდებიან

მას შემდეგ, რაც აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხდა, ჰილარი კლინტონმა მეუღლესთან განქორწინებაზე განცხადება შეიტანა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა აქვეყნებს. მისივე ინფორმაციით, ჰილარის ადვოკატებმა შესაბამისი საბუთები ნიუიორკის შტატის უზენაეს სასამართლოში შეიტანეს.

მოსარჩელე მხარე, განქორწინების მიზეზად „შეურიგებელ უთანხმოებებს“ ასახელებს.

საბუთების თანახმად, რომლებსაც გამოცემა გაეცნო, წყვილი ადრევე შეთანხმდა ცალ-ცალკე ცხოვრებაზე, ასევე შეთანხმდნენ იმაზე, თუ როგორ გაიყოფენ განქორწინების შემთხვევაში ქონებას.

ჰილარი და ბილი კლინტონებმა ერთმანეთი იელის უნივერსიტეტში გაიცნეს (ორივე იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი იყო). მათ 1975 წელს იქორწინეს. მათ ჰყავთ შვილი ჩელსი, რომელიც ამჟამად 36 წლისაა.

შეგახსენებთ, რომ 1998 წელს აშშ-ში აგორდა სკანდალი, რომელიც გამოწვეული იყო ქვეყნის 42-ე პრეზიდენტის ბილ კლინტონსა და თეთრი სახლის პრაქტიკანტ მონიკა ლევინსკის შორის ურთიერთობით. სახელმწიფოს მეთაურმა თავდაპირველად ღიად უარყო ლევინსკისთან ყოველგვარი ურთიერთობის არსებობა, მაგრამ შემდეგ აღიარა, რომ მასთან ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა. ამის გამო პრეზიდენტს ცრუმოწმეობაში დასდეს ბრალი და მის მიმართ იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყეს. მაშინ ჰილარიმ სახალხოდ დაუჭირა მხარი თავის მეუღლეს.

სამგლოვიარო განცხადებები



ანზორ ჯუღელის გახსენება

17 ნოემბერს გავიდა ორი წელი, რაც დატოვე შენი თბილი ოჯახი, მეგობრები, სამშობლო, პოეზია და შემოქმედება. შენდამი მიძღვნილი სამგლოვიარო სიტყვები და მოგონებები ყველამ სისწორითა და სინამდვილით დაახასიათა – მოკეთისა და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული და დაფასება. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, დაძინებისას და გათენებისას ტკბილად ვილოცოთ და მუხლმოყრილი შევევედროთ უფალს: „უფალო, ძილი, მშვიდობის ძილი აღირსე მხოლოდ“...

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

მიწისძვრის შედეგად ახალზელანდიელი ძროხები კუნძულზე აღმოჩნდნენ

ახალ ზელანდიაში მომხდარი მიწისძვრის შედეგად სამი ძროხა, ორი მოზრდილი და ერთი მოზარდი, საძოვარზე მათ გარშემო მიწის დიდი მასის ჩავარდნის შედეგად, „კუნძულზე“ აღმოჩნდნენ. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეო იუთუბიზე იქნა გამოქვეყნებული.

შინაური ცხოველები მიწისძვრის ეპიცენტრის სიახლოვეს იმყოფებოდნენ, ქალაქ კაიოკურას მახლობლად. ძროხების შემდგომი ბედი უცნობია.

მიწისძვრა 13 ნოემბერს ქვეყნის სამხრეთ კუნძულზე მდებარე ქალაქ კრაისტჩერჩიდან 95 კილომეტრში მოხდა. მიწისძვრის ამპლიტუდამ 7,8 სიმძლავრე შეადგინა და ათი კილომეტრის სიღრმეში მოხდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

პროგრამა

ხუთშაბათი 17 ნოემბერი

06.00, 14.00 ტ/სერ. "**ფრანკლინი და ბეჟი**" **07.00** დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" **08.00** "მხიარული ფერმა" **08.40** "ტელემანი" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ტრიუფფი**" **12.20** მხ/ფ "**დიდი ჯალდო პეპერი**" (რ.რედ-ფორდი) **15.00, 03.30** "x სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00** "ინტერვიუ სალომე ასათიანთან" **22.30** "ვექტორი" **23.00** ტ/სერ. "ამერიკელები" **00.00** "უცნობი მუსიკა" **01.30** მხ/ფ "**40 წლის უბიწო პერბიჭა**"

08.00 დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" **09.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **10.00** "გეოფაქტორი" **10.20** მხ/ფ "**ნეველლენდი**" I ნაწ. **12.00** ტ/სერ. "**გულის მუსიკა**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენბერ ვებრინე**" **14.00** დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00, 01.00** ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

06.30, 16.00 სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.45** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **11.20** სერ. "**სიყვარულის ქამი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35** სერ."**პაბარაქალი**" **18.50, 19.03** სერ. "**ლირსების სახელით**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** სერ. "**პერფექტაბია** (9+1)" **00.30** გრიფით საიდუმლო **01.00** მხ/ფ "**შეიზარავი წინანდბრძნობა**" **03.00** მხ/ფ "**ქილის წინ**" **04.30** მხ/ფ "**მონობა**"

06.00 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45** სერ. "**გაბრიელა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერსერ. "**წითელი და შავი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**ოქროს გალია**" **19.55, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ოსმალების რისხვა**" **22.00** სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" **23.00** პროფილი P.S. **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/ფ "**ფანგიი და ჩამჩაი**" **9.00, 19.00** სერ. "**დოქტორი პაუსი**" **10.00, 18.00** სერ. "**სკანდალი**" **11.00**სერ. "**კერძო პრაქტიკა**" **13.00, 1.50** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დისანჯლისები**" **20.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30 20.30 22.00** სერ. "**ბიფლინი**"

06.15 სჯანი-"დედამიწის გარე ცივილიზაციები" **06.40** პატერიკი-"მშვიდობისმყოფელი მონაფის შესახებ" **06.45** დ/ფ "ფერეიდნელი გურჯები" **07.25** ქართული ალბომი **07.50** განთიადის სიუჟეტი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**ადამიანმა სვეჯა**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.00** გამოყენებითი ხელოვნება "მინიატურა სპილენძით" **15.05** ღვთის სახლი **15.20** ქართ. ან/ფ **15.30** სად უჩინარდებიან ჩემპიონები "ირინა ერმილოვა" **15.50** კონცერტი **17.00** ქრისტიანული ხელოვნება-წინაქრისტიანული ხანის სამშენებლო ხელოვნება **17.35** ჩვენი ფონდი **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები "ნინო სურგულაძე" **2 20.10** დ/ფ "საქართველოისი-პატრიარქი ილია II" **20.40** ძილი ნებისა "ტომი და ჯერი", "აბა დამაცადე" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ლექციები მეფუტკრეობაზე **21.30** დიდ ხარ შენ უფალო **22.20** ჩვენი საგანძური **22.40** ქრისტიანული სწავლება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** დეკორატიული ფლორა "ხარისძირა" **00.25** ისტორიის დღიური **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ფესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ქარმელიტა**" **10.00, 13.30, 1.30** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" **11.00** სერ. "**გაზაფხულზე იგადება სიყვარული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 23.30** "ბიზნეს კონტაქტი" **14.30, 1.00** სერ. "**ორი გული**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.00, 2.30** სერ. "**ქარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50** სერ. "**გაზაფხულზე იგადება სიყვარული**" **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**გემი**" **21.40** "ცეცხლის ხაზი" პოლიტ თოქ-შოუ **22.40** სერ. "**ესკიბარი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

17 ნოემბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.489

ევრო — 2.6797

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1185

100 რუსული რუბლი — 3.7551

ამინდის პროგნოზი 17 ნოემბრისთვის

10 ნოემბრიდან

ჯერალდ დარელი

იდუმალი ხმების ქვეყანა. მთვრალ ტყეში

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

იუმორი

მოსამართლე ბრალდებულს ეკითხება:

– რატომ დაახრჩვეთ აბაზანაში თქვენი მეუღლის ძმა?

– არ დამიჯერებთ, თქვენო ღირსებავ, მაგრამ ეს იმის გამო მოხდა, რომ მე მას ყოველთვის და ყველაფერში ვენდობოდი!

– ეს როგორ, განგვიმარტეთ, თუ შეიძლება!

– სახლში დროზე ადრე დავბრუნდი მივლინებიდან, ჩემი ცოლი კი დამხვდა თავის საუკეთესო კაბაში გამოწყობილი, სამზარეულოში კი მაგიდა ორ ადამიანზე გაშლილი. ამ დროს კი სააბაზანოდან მამაკაცის ღიღინის ხმა ისმის. მე მაშინვე გავიფიქრე, რომ ეს ცოლის ძმა იყო ჩამოსული და სააბაზანოსკენ გავქანდი მისასალმებლად... ამ დროს კი ცოლმა დამიყვირა: „გაჩერდი! ეს ის არ არის, რასაც შენ ფიქრობ...!“

•••

ორი ძაღლი შეხვდა ერთმანეთს. ერთი ერთიანად დოლბანდებშია გახვეული. მეორე ეკითხება:

– რა მოგივიდა?

– პატრონმა მცემა.

– რისთვის?

– ვუკბინე.

– რატომ?

– დათვრა და ჩემი მედლები დაიკიდა მკერდზე.

•••

კაცს ღამის სამ საათზე გაეღვიძა, თავი შეუძლოდ იგრძნო და ექიმი გამოიძახა. ექიმი მოვიდა, გულდასმით გასინჯა და მერე სასოწარკვეთილი სახით ეუბნება:

– გთხოვთ, დაუძახეთ თქვენს შვილებს, ადვოკატს, ნოტარიუსს.

– რა, ასე ცუდადაა ჩემი საქმე?

– არა, უბრალოდ, არ მინდა, რომ ერთადერთი სულელი ვიყო, რომლისთვის უცნობია, თუ რისთვის წამოაგდეს საწოლიდან ღამის სამ საათზე!

•••

ჩანაწერი დღიურში:

– დილიდან ხელები მიკანკალებს, „პახმელიაზე“ ვარ. პიჟამოს გახდა დავიწყე, ყველა ღილი ამწყდა. პორტფელს ხელი დავავლე – სახელური მოწყდა. ტუალეტში შესვლის მეშინია...

•••

მუშაობის დაწყების მსურველს საწარმოს ხელმძღვანელი ეკითხება:

– საიდან შეიტყვეთ ამ ვაკანსიის შესახებ?

– გუშინ თქვენ არ გამათავისუფლეთ?!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

15 ნოემბრიდან

ჯონ ტენერი

ოცდაათი წელი ინდიელთა შორის

ჯონ ტენერის წიგნი „ოცდაათი წელი ინდიელთა შორის“ მოგვითხრობს იმ ადამიანის ცხოვრებასა და თავგადასავალზე, რომელიც მე-18 საუკუნის დამლევს 9 წლის ასაკში მოიტაცეს და შემდეგ იშვილეს ჩრდილო ამერიკის ინდიელებმა.

ჯონმა მათთან თითქმის 30 წელი გაატარა. ამ ხნის განმავლობაში მას დაავიწყდა მშობლიური ენა და სავსებით შეითვისა ინდიელთა ტრადიციები და ზნე–ჩვეულებანი, მაგრამ თეთრკანიან ნათესავებთან დაბრუნების სურვილი არ ტოვებდა.

როგორ დაუბრუნდა იგი თეთრკანიან საზოგადოებას და როგორ შეეთვისა ახალ საზოგადოებას, ამას წიგნის წაკითხვის შემდეგ გაიგებთ.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

18 ნოემბრიდან

მოთხრობები რობინ ჰუდზე

რობინ ჰუდი შუა საუკუნეების ინგლისის ლეგენდარული გმირია. მასზე ბევრი ხალხური ბალადაა შექმნილა. ამ წიგნში თავმოყრილია რობინ ჰუდისა და მისი „მხიარული მეგობრების“ საინტერესო და მიმზიდველი თავგადასავალი, მათი გმირული ცხოვრებისა და საქმიანობის ცალკეული ეპიზოდები.

წიგნი ილუსტრირებულია ლუის ჯონ რიდის და ჰოვარდ პაილის სურათებით.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

ბრაზილიის ნაკრებმა ზედიზედ 6 შეხვედრა მოიგო

ბრაზილიის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მორიგი გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად მსოფლიოს 5 გზის ჩემპიონებმა სტუმრად პერუ დაამარცხეს ანგარიშით 2:0.

აღსანიშნავია, რომ ეს ზედიზედ მე-6 გამარჯვებაა შესარჩევ ციკლში და ასეთი შედეგი ადრე არც ერთ სამხრეთამერიკულ გუნდს არ ჰქონია.

ბრაზილიელებმა შესარჩევი ციკლი ცუდად დაიწყეს, მაგრამ მას შემდეგ, რაც მათი მთავარი მწვრთნელი ტიტე გახდა, ყველაფერი გამოსწორდა.

სატურნირო ცხრილში ბრაზილიის ნაკრები 27 ქულით პირველ პოზიციას იკავებს და აღარავის ეპარება ეჭვი, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვდება.

შემდეგ შეხვედრას ბრაზილიელები 23 მარტს სტუმრად ურუგვაის ნაკრების წინააღმდეგ გამართავენ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ქართული ფილმი პალმა დე მალიორკას და არასის კინოფესტივალების გამარჯვებულია

რეჟისორ ნინო ბასილიას ფილმმა „ანას ცხოვრება“ მსოფლიოს ორ პრესტიჟულ კინოფესტივალზე – პალმა დე მალიორკას კინოფესტივალსა და არასის კინოფესტივალზე გაიმარჯვა და

გაგრძელება მე-11 გვერდზე

პუერტორიკოელი სქელწარბება გოგონა მოდელი გახდა

პუერტორიკოელმა გოგონამ, რომელსაც მისი სქელი წარბების გამო დასცინოდნენ, ამერიკულ სამოდელო სახლ ნექსთ მოდელ მენეჯმენტთან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

– სულმოუთმენლად ველი მუშაობის და მოდის სამყაროში მოგზაურობის დაწყებას, – განაცხადა ახლად გამომცხვარმა მანეკენმა. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მოდის ინდუსტრიაში წარმატებისა და ფოტოსესიებში მონაწილეობისა, გოგონას მიმართ სოციალურ ქსელებში არ წყდება მისი მოძულეების მხრიდან დაცინვა და შეურაცხყოფა.

17 წლის ნატალია კასტელიარი დაცინვის ობიექტი იმის გამო გახდა, რომ მას გარშემომყოფებზე უფრო ფართო და გრძელი წარბები აქვს.

– მათი ჩამოპარსვა მინდოდა, – განაცხადა გოგონამ.

სოციალურ ქსელ ინსტაგრამში მოდელის გვერდს 43 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს. კასტელიარი მასში რეგულარულად აქვეყნებს თავის ახალ სურათებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კროსვორდი ა

შვეულად: 1. სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი სახეობა; 2. გვერდის წახნაგის სიმაღლე წესიერ პირამიდაში; 3. კუნძულოვანი სახელმწიფო სპარსეთის ყურეში; 4. საეკლესიო ლოცვათა, საგალობელთა კრებული; 5. შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მიერ გამოყოფილი ნივთიერება; 8. ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფი პრაქტიკულ ღონისძიებათა ერთობლიობა; 9. სახლზე დაშენებული არასრული სართული; 12. იტალიელი კინორეჟისორი; 13. ზღვისპირა კურორტი სამეგრელოში; 16. სახელმწიფო შუა-აზიაში; 17. ქართველი რაგბისტი; 19. ქართული ხალხური ზღაპარი; 20. დილის სადილი.

თარაზულად: 6. ეგვიპტის უკანასკნელი დედოფალი; 7. პირობითი ნიშანი გეოგრაფიულ რუკაზე; 8. სატრფიალო ხასიათის მეგრული, ქალ-ვაჟთა ცეკვა; 10. ღვინის კასრების დამამზადებელი ოსტატი; 11. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 14. ტანსაცმლის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 15. მკურნალობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 18. ეთერზეთოვანი სუბტროპიკული მცენარე; 21. ყურის ექიმი; 22. ზღვისპირა კურორტი ბულგარეთში; 23. ქვის ხანის უძველესი პერიოდი; 24. დედამიწის მტკიცე გარსი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



ლურჯი წითელი ყვითელი შავი